ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი, 4 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 15 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 500 მანეთი. ნიხრით განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 251 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 251

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გულმოკლული მეუღლე მირიან ბესარიონის ძე უნგიაძე, შვილი ნოე, დედა ლიზა, დაი ნინა დვალიშვილი, მაზლები: რამაზ, ერმილო, პავლე, დომენტი და შალვა, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეგობართ მათვის დაუვიწყარი და საყვარელი

ლიუდმილა ნოეს ასული უნგიაძის

დიდი ტანჯვის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას 7 ამა თვეს ნაშუადღევს 3 ს. წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან. (ბუფერნი შესახვევი № 6.) პანაშვიდი ყოველ დღე. (3560—2—1)

გულდამწვარი ქვრივი ალექსანდრა (აშა) და შვილები მიშა, სონია ჯაფარიძისა, ვერა გოცირიძისა, ნინა, მარუსია და ანიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ კვირას 7 ნოემბერს ქ. ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაში დილის 10 საათზე დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასი

პავლე შაველის ძე გვარამიას

სულის მოსახსენებლათ. (3563—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი სონა, შვილები კოტიკო, მიშა, მარუსია, მილიცა, ვახტანგი, დები ოლია რომანოვისა შვილებით, ნატო და ვანო ბურჭულაძეები შვილებით აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს გარდაცვალებას, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, რკინის გზის საავადმყოფოში, 1 ნოემბერს 1920 წ.

ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ვარდანაშვილისას (მერკულოვისას)

გამოსვენება ცხედრის, რკინის გზის საავადმყოფოდგან და წაღება ქუთაისში მოხდება 3 ნოემბერს, სადაც დაკრძალული იქნება საფიჩხიის სასაფლაოზედ, პარასკევს 5 ნოემბერს, ნაშუადღევს პირველ საათზედ. (3564—1—)

სახელმწ. თეატრი

4 ნოემბერს

კარმენი

5 ნოემბ. ბალეტის საღამო მიხ. მორდკინისა. 6 ნოემბ. ოპერა მუშებისათვის **ევგენი ონეგინი.** 7 ნოემბერს **მინიონი** დასაწყისი 8 საათზე საღამოს. (ნ. 1—1)

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის გამგეობა

ამით აუწყებს თავის მოკავშირეებს, რომ ამა წლის 24 ნოემბერს, დილით ოთხშაბათს, დილის 10 საათზე ქალ. თფილისში დანიშნულია საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის რწმუნებულთა 1-ლი

წლიური ყრილობა

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1) საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა და საქართველოს კოპერაცია.
2) რწმუნებულთა კრებისათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
3) კავშირის 1919 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
4) მოკავშირეთა ბიუროს მოხსენება.
5) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
6) კავშირის 1920 წლის მოქმედების მიმოხილვა და 1920 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
7) კავშირის მომავალი მოქმედების გეგმა.
8) მოკავშირეთა ბიუროს ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
9) სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
10) კავშირის წესდების გადასინჯვა.
11) საქართველოს კოოპერატიული ბანკის გამგეობის მოხსენება.
12) კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
13) მიმდინარე კითხვები.

თანახმად კავშირის წესდების მე 8, 9, 10 და 11 §§ ისა საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის **წევრებათ ითვლებიან.**

სამგორის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, საჯევახოს, ნატანების, სამტრედიის, ზუგდიდ სამურზაყანოს, ზესტაფონის, ქიათურა-საჩხერის, გორის, სენაკის, აბაშის, დუშეთის, სიღნაღის, ლორის, ვორონცოვის, ქუთაისის, თფილისის, სოხუმის და კახეთის რაიონების კოოპერატივთა კავშირები, სოხეთის კოოპერატივთა კავშირი „აიკოპი“, მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსაღებლო კავშირი, ფოთის მომხმარებელთა საზოგადოება „ეკონომია“, ბათომის მომხმარებელთა საზოგადოება, ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოეთა კოოპერატიული ამხანაგობა.

თანახმად კავშირის წესდების მე 29 და 30 §§-ისა ზემო ჩამოთვლილი კოოპერატიული ორგანიზაციები გზავნიან რწმუნებულთა ყრილობაზე დასასწრებლათ: სამგორის კავშირი—8 რწ., ჩოხატაურის—5 რწ., ოზურგეთის—3 რწ., ლანჩხუთის—3 რწ., საჯევახოს—2 რწ., ნატანების—2 რწ., სამტრედიის—5 რწ., ზუგდიდ-სამურზაყანოს—8 რწ., ზესტაფონის—8 რწ., ქიათურა-საჩხერის—5 რწ., გორის—5 რწ., სენაკის—5 რწ., აბაშის—3 რწ., დუშეთის—3 რწ., სიღნაღის—10 რწ., ლორის—5 რწ., ვორონცოვის—1 რწმუნ., ქუთაის—10 რწმუნებული, თფილისის 10 რწ., სოხუმის—3 რწ., კახეთის—8 რწ., მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსაღებლო კავშირი—1 რწ., ფოთის მომხ. საზოგადოება „ეკონომია“—1 რწ., ბათომის მომხმარებელთა საზოგადოება—2 რწ., ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოეთა ამხანაგობა 1 რწ.

თანახმად კავშირის წესდების მე-29 §-ისა რწმუნებულთა კრება შესდგება კავშირის წევრთაგან თავიანთ კრებაზე—რწმუნებულთა კრებაზე—ერთი წლის ვადით სპეციალურად ამორჩეულ პირებისაგან.

საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის გამგეობა სთხოვს თავის წევრებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუსრულებიათ კავშირის წესდების §§ 9, 10, 11, 29 და 30 აღნუსხული მოთხოვნილებანი, მოახდინონ სპეციალური რწმუნებულთა კრებები წარმომადგენლების ასარჩევად და არჩეულთა სია სათანადო ბლანკზე ბეჭდის დასმით დამტკიცებული დაუყონებლივ გადმოგზავნონ ცენტრალურ კავშირში.

დაწვრილებით ცნობებს ყრილობის ადგილის, რწმუნებულთათვის ბინის და სხვა ამგვარის შესახებ ჩამოსული რწმუნებულნი მიიღებენ საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის მთავარ კანტორაში (მუშტაიდი, კოოპერაციის ქუჩა, საკუთ. სახლი № 15).

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის გამგეობა.
(ნ. 3—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

ხუთშაბათს, ნოემბრის 4-ს
დავით კლდიაშვილის პიესები
„დარისპანის გასაჭირი“ და **„ირინეს ბედნიერება“**
ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ ერისთავისა.
დასაწყისი სოლ. 8 საათზე. დარჩენილი ბილეთები კასაში.
(ნ. 1—1)

ნოემბრის 4-ს საღამოს შვიდ საათზე დანიშნულია ვერის რაიონის სახალხო გვარდიის არაჩვეულებრივი

საზოგადო კრება

გასარჩევია ფრიად საჭირო კითხვები აგრეთვე იქნება მოხსენება **გვარდიის მეორე ყრილობისა.** დასწრება სავალდებულოა გვარდიელთათვის (1.—1)

მეორე ქართული კლუბი

პარასკევს, 5 ნოემბერს 7 საათზედ საღამოს დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრება

ფრიად საჭირო კითხვების განსახილველათ. წევრთა დასწრება აუცილებელია.
(ნ. 2—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

შაბათს, ნოემბრის 6-ს

ოტელო

შექსპირისა.

ახალი დეკორაციებით და კოსტიუმებით მხატვრის ალ. ზალცმანისა და ახალი მიზანსცენებით.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. რეჟისორი აკაკი ფაღავა.
(ნ. 3—1)

ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოება

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთის სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის თხოვნის თანახმად

ქ. ოზურგეთში გაიხსნა საზოგადოების განყოფილება

სადაც გაეგზავნა მრავალი საქონელი. იქნება დარიგებული მეორე პარტია ქარხნის ფქვილი თითო ფუთი ოჯახზე 600 მანეთად ფუთი იქვე იყიდება კომბოსტო, თვითეულ წევრს შეუძლია მიიღოს 3 ფუთამდე. საზოგადოების განყოფილებაში წევრებს ეძლევათ საპონი, საკუთარ ქარხანაში დამზადებული. ამ დღეებში ელოდებიან საზამთრო მანუფაქტურის დიდ პარტიას და დაურიგდება იაფ ფასებში, როგორც წევრებს ისე კერძო მოქალაქეებს. (ანგ. 2—1)

საფრთხის წინ

დღეს სარწმუნო წყაროებიდან ირწმუნებიან, ქემალ-ფაშას ჯარმა ყარსის სიმაგრე აიღოო. ეს ცნობა ლახვარივით დაესობა გულში არა მარტო სომხეთის ერს, რომელიც ამით უსაშინელესი ბარბაროსული საფრთხის წინაშე სდგება, არამედ საქართველოსაც—ქემალის ჯარი ეს ველური ფანატიზმის მატარებელი ძალაა, განადგურების და აოხრების მოციქულია. ყველგან, სადაც იგი ფეხს შედგამს, ბალშევიკების ლოცვა კურთხევით, შეაქვს სიკვდილი და აწიოკება. საქართველოს შვილებმა იციან ოსმალთა მწარე ხელი, ჩვენმა ხალხმა იცის, რას უქადის მათ ეს სამხრეთელი მეზობელი, რომელიც დღეს ყარსის კარებს დაპატრონებია.

საქართველოს დემოკრატიას, რასაკვირველია, ვერ შეარყევს ის გარემოება რომ ქემალის ჯარებს ბალშევიკების წითელი ჯარი ენათესავება. პირიქით აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ კომუნისტები საბოლოოთ გამიშვლდნენ და თავის ანტისოციალისტური შინაარსით მოგვევლინენ.

ადგილობრივი კომუნისტები გაზეთში სწერენ ახლა, თურქების მოახლოვების გამო, ამხედრდნენ მთელი თავის ძალღონით ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ. დღეს ისინი გააფთრებული ეწევიან აგიტაციას პრესაში, თუ საზოგადოებაში, რომ ქემალის ჯარებსაც კი რევოლიუციური იარლიკი მიაკრან, ხოლო, საქართველოს მებრძოლ მუშა-გლეხობას კონტრ-რევოლიუციონერის.

ბალშევიზმის და ქემალის ბლოკი, ეს ორი ძალის შემოსევაა—გარეშის და შინაურის.

და ამ ორი ძალის წინააღმდეგ—კვლავინდებური სიძლიერით და გაბედულობით უნდა გამოვიდეს საქართველოს მშრომელი ხალხი.

ჩვენი ქვეყანა თავის კარგით და ავით ჩვენია, მუშების და გლეხების, იგი ჩვენი დემოკრატიის სამყაროა და მაზე ხელის შეხების ნებას ვერავის მივცემთ. სომხეთის გარშემო ატეხილი საბედისწერო ბრძოლაა ხვალ ჩვენს გარშემო დატრიალდება, და თუ მზათ არ ვიქნებით, იგი გადასთელავს ჩვენ სისხლით და ოფლით მორწყულ ველებს, გაანადგურებს და მოსპობს უდიდესი მსხვერპლით მოპოვებულ თავისუფლებას. ეს უნდა შევიგნოთ ყველამ.

საფრთხე კარზეა, მაგრამ იგი შეიძლება აშორებულ იქნეს, თუ მტერი დაინახავს ჩვენს სიმტკიცეს შიგნით და ჩვენს ძალას გარეთ.

ბრძნული თქმულებაა, ვისაც უნდა ზავი—ემზადოს ომისათვისო. ეს განსაკუთრებით ზედგამოჭრილია ჩვენი დღევანდელი მდგომარეობისთვის.

თუ მტერმა ღია კარები იხილა, შიგ შემოიჭრება და დაუნდობლათ გაგვსრესს. მაგრამ თუ კარები მაგრათ ჩავკეტეთ და საიმედო მცველები მივუჩინეთ, იგი უკან დაიხევს.

უხეშ ძალას, რომელიც სამხრეთიდან მოდის, შავ ძალას, რომელიც ოსმალთა სახით გვევლინება, მხოლოდ ძალა შეაჩერებს. სიმართლე მათ არ აქვთ, სათნოება მათ არ უწერიათ, მეგობრობა მათში—არ არსებობს.

იგი ძალადობას ეყრდნობა და შეიძლება შეჩერებულ იქნეს მხოლოდ ძალადობით. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ვისაც უნდა ზავი—ემზადოს ომისთვის.

ვისაც უნდა მშვიდობიანობის დაცვა და სისხლის ღვრის თავიდან აცდენა, ეცადოს შინაური ფრონტის გამაგრებას და ერთ სულოვნების შექმნას.

ეს აგვაცდენს თავიდან მოსალოდნელ სისხლს. და თუ ვერ აგვაცდენს, გამარჯვებას მაინც მოგვანიჭებს გათავხედებულ მტერზე.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს დემოკრატიას ფხიზელ დარაჯათ დადგეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დასაცველად.

მუშათა კრება

პლეხანოვის სახელობის სახალხო სახლში ნაძალადევში შესდგა მრავალ-რიცხოვანი კრება სახელოსნოს მუშებისა. კრებას უნდა გამოენახა საშუალება იმ აუტანელი მდგომარეობას შესამსუბუქებლათ, რომელშიაც დღეს მუშათა კლასი იმყოფება. მარა სანამ ამას შეუდგებოდა, მან მოისურვა მოსმენა მომარაგების სამინისტროს წარმომადგენლის, რომ გაეგო არის თუ არა რაიმე საშუალება გადიდდეს პურის რაციონი, თუ გინდ ნახევარი გირვანქით. მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელის მოხსენებიდან კრებამ გაიგო, რომ ამ ჟამად ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მიუხედავათ მისი სრული სამართლიანობისა, შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ მომარაგების სამინ. საწყობებში არ არის საკმარისი ხორბალი და არ არის იმიტომ, რომ ყოველივე ცდამ პურის შესაძენათ არ მოიტანა სასურველი შედეგი და არ გაამართლა სავსებით ის იმედები, რომელიც სამინისტროს ქონდა.

ამას აქვს რასაკვირველია თავის გასამართლებელი საბუთი. ჩვენი ქვეყანა არ იყო და არაა პურის ქვეყანა. მუდამ და ყოველთვის საჭირო პური შემოგვქონდა რუსეთიდან. დღეს ეს შეუძლებელი გახდა. დღეს თვით რუსეთი განიცდის საშინელ სიმშილს. საჭირო გახდა პურის ძებნა ევროპის სახელმწიფოებში, მარა აქაც ისეთი დაბრკოლებანი [illegible], რომ მისი ძლევა არც ისე ადვილი შეიქნა. პურის კითხვა ხშირათ პოლიტიკურ საკითხათ ხდება და ეს ვალიუტის და ტონაჟის უქონლობასთან ერთად კიდევ უფრო აძნელებდა პურის შეძენა-შემოტანის საკითხს.

ასეთ პირობებში აუცილებელი შეიქნა დროებით შინაური პურით მოთხოვნილების ასე თუ ისე დაკმაყოფილება. საბედნიეროთ, წელს პურის მოსავალი საშუალოზე მეტი იყო. და აი მომარაგების სამინისტროც შეუდგა პურის შეძენას შინაურ ბაზარზე. მარა აქ ის წააწყდა დიდ დაბრკოლებას:—გლეხი პურს არ იძლევა მას ეშინია რომ შეიძლება გაისათ მოსავალი ნაკლები იქნას და ის ამთავითვე თადარიგს იჭერს. გამოირკვა, რომ მიუხედავათ ყოველივე ზომებისა დღემდის მომარაგების სამინისტროს შინაურ ბაზარზე ორასი ვაგონი ძლივს შეუძენია. და რაღა თქმა უნდა თუ ასეთი მცირე რაოდენობით შეუძლებელი იყო რაციონის გადიდებაზე ფიქრი, მით უმეტეს, რომ სამინისტრო გარდა მუშა მოსამსახურეებისა პურს აწვდის აგრეთვე ჩვენს შეიარაღებულ ძალასაც. რომ გლეხს პური თავის საყოფს გარდა გაეყიდა, მაშინ პურის კრიზისი არ იქნებოდა ასე მწვავე და სანამ უცხოეთიდან შემოვიტანდით, შესაძლებელი იყო რაციონის გადიდებაც და დაკმაყოფილება იმათიც, ვინც დღეს რაციონს გარეშეა.

როგორ და რა საშუალებით შეიძლება გლეხისაგან პურის მიღება? აი თავსატეხი საკითხი, რომლის დაუყონებლივ გადაჭრაზე დამოკიდებულია იმ მწვავე კრიზისის რამდენიმეთ მაინც განელება, რომელიც კარგს არაფერს უქადის ჩვენს ქვეყანას.

საბჭოთა რუსეთში კომუნისტებმა ათას გვარი საშუალება სცადეს ასეთ შემთხვევაში, მარა შედეგი უმნიშვნელო იყო. მარა რუსეთის პირობებს და ჩვენს პირობებს შორის დიდი განსხვავებაა; ჩვენი გლეხობა ბევრათ უფრო შეგნებულია იქაურ გლეხობაზე, ამიტომ, გვგონია, რომ ჩვენი გლეხობა უფრო მალე შეიგნებს თუ რა დანაშაულობას სჩადის რესპუბლიკის და მუშათა კლასის წინაშე როცა ის პურს არ იძლევა და საგაისო თადარიგს იჭერს, მაშინ, როცა ქალაქის მუშა დღეს უკვე მშიერია. თუ მას გააგებინებენ, გააცნობენ მდგომარეობას, აუხსნიან შედეგს მათი ასეთი საქციელისა, რომელიც დაბოლოს მის ბეღელსაც დალუპავს, ჩვენ ვფიქრობთ, ის არ გამოიჩენს დაუძლეველ ჭირვეულობას. სამწუხაროთ დღემდე ეს არ ყოფილა. სოფელი მოწყდა ქალაქს. ძაფები, რომელიც მას აერთებდა ქალაქთან და რომლის ზეგავლენას ის გრძნობდა—დაწყდა, საალებ-მიმცემო ურთიერთობა თითქმის აღარ არის და აი ისიც დარჩენილი თავის, პირადი თუ სოფლის ინტერესების, ხუჭოში ნაკლებათ გრძნობს ქალაქის გაჭირვებას და ნაცვლათ დახმარებისა და ხელის გაწვდისა ხშირად უპირისპირდება კიდეც. ასეთი ურთიერთობის საგრძნობათ შესუსტება შესაძლებელი იყო მათში ფართო შეგნების შეტანით და ამ ნიადაგზე საჭირო მუშაობის გაცხოველებით.

ვის უნდა ექნა ეს?

ერობა, რომელიც დღეს ბატონპატრონია სოფლის, ისეა დატვირთული სხვადასხვა საქმეებით, რომ ამ მხარეს ვეღარ აქცევს სათანადო ყურადღებას, თუმც ამაზე უდიდესი საქმე მათ მოქმედებაში ამ ჟამად ჩვენ არ გვეგულება.

ყველაზე უკეთ ასეთი მუშაობის გაჩაღება შეეძლოთ პოლიტიკური პარტიების ადგილობრივ ორგანიზაციებს. ამ ნიადაგზე უნდა ამოძრავებულიყო ყველა პარტია, მარა, სამწუხაროთ ზოგი ჩვენი პარტიები ნაცვლად თავის ასეთი მოვალეობისა დღევანდელ გაჭირვებას მართველი პარტიის დასამხობათ იყენებს, და სრულიად ვერ გრძნობს რომ ამ პარტიასთან ერთად დაინგრევა თვით რესპუბლიკაც. ყველაზე მეტი მოვალეობა ამ შემთხვევაში ეკისრებოდა ჩვენს ორგანიზაციებს, მარა ისინიც ისე მოდუნდა, რომ ვეღარ იჩენენ საამისო ფხას და უნარს. ასეთ პირობებში დარჩა ერთადერთი ვაჭრული წესი და ამან კი ვერ მოგვიტანა სასურველი შედეგი.

ამ შეცდომის გამოსწორება კიდევ შეიძლება თუ ჩვენი ორგანოები, როგორც სახელმწიფო, ისე პარტიული ახლავე შეუდგებიან თავის მოვალეობის ასრულებას, მოედებიან პურიან მაზრებს, გააცნობენ მდგომარეობას, გაუთვალისწინებენ იმ შედეგებს, რომელიც შესაძლებელია მოჰყვეს ბეღლების დაკეტვას და რომელიც საბედისწერო იქნება თვით გლეხობისათვის.

პური და პური—აი ლოზუნგი რომელმაც უნდა აამოძრაოს ყველა ის, ვისაც გული შესტკივა და ვისაც აინტერესებს ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი დემოკრატიის ყოფნა—არსებობა.

როგორ შეხვდა ასეთ მდგომარეობას ნაძალადევის მუშათა კრება? განი.

რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულება

კერზონ-კრასინის ნოტა.

(წერილი ლონდონიდან)

რუსეთის საკითხის გარშემო შექმნილი მდგომარეობა კვლავ დიდ ინტერესს იწვევს. რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკებას დიდ ყურადღებას აქცევენ. ერთის მხრივ, თუ ინგლისისა და რუსეთს შორის დამოკიდებულებამ აღელვა და ააჯანყა ყველა ანტი-ბალშევიკური მიმართულება, მეორე მხრივ ამ დამოკიდებულების განვითარებას დიდი ყურადღებით ეპყრობა ინგლისის დემოკრატია, რომელიც კატეგორიულათ მოითხოვს რუსეთთან მშვიდობიანობის დამყარებას და სავაჭრო დამოკიდებულების განახლებას. ლოიდ-ჯორჯი და კერზონი დიდი ხანია, რაც ამ მოლაპარაკებას აწარმოებენ და ნოტების გზავნას ჯერ დასასრული არ უჩანს. ის სამი პირობა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ მოლაპარაკებას ძირიან-ფესვიანათ სცვლის საბჭოთა რუსეთის მიერ განზრახულ პოლიტიკურ ხაზს, ამიტომ არის, რომ ეს სამი პირობა კატეგორიულათ ვერ სრულდება საბჭოთა რუსეთის მხრივ და მის ასრულებაზე დავა სწარმოებს კერზონსა და კრასინს შორის. თუ ბალშევიკებმა აასრულეს ეს სამი პირობა, ანუ ამ პირობის ერთი უმთავრესი პუნქტი, რომელიც მოითხოვს, რომ საბჭოთა რუსეთი უარს იტყვის ინგლისის წინააღმდეგ პროპაგანდაზე და მოქმედებაზე აღმოსავლეთში, ეს ნიშნავს, რასაკვირველია, საბჭოთა მთავრობის აღმოსავლეთურ პოლიტიკის დამხობას, და მაშასადამე იმპერიალისტური ინგლისის მდგომარეობის განმტკიცებას. როგორც მკითხველი ქვემოთ მოყვანილ ნოტებიდან დაინახავს: დავა უმთავრესათ ამ პუნქტის გარშემო სწარმოებს და ბრიტანეთის საგარეო მინისტრი დაჟინებით მოითხოვს ამ დებულების განხორციელებას. კრასინი თავს ესხმის კერზონს და ამტყუნებს, რომ მანაც არ აასრულა პირობები, და თვითონ კი მზათაა აასრულოს იგი. როგორ გადაწყდება საკითხი? მოხდება შეთანხმება ამ დებულების მიხედვით და განხორციელდება ინგლის-რუსეთის ეკონომიური დამოკიდებულების და ვაჭრობის საკითხი თუ არა, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს, ხოლო მანამ ჩვენ დაგვრჩენია ჩვენს მკითხველს გავაცნოთ ის ბრძოლა, რომელიც ნოტებით სწარმოებს ლონდონში.

* * *

პირველ ივლისს ბრიტანეთის მთავრობამ წარუდგინა რუსეთის საბჭოთა მთავრობას ის ძირითადი პირობები, რომლის ასრულების შემდეგ ბრიტანეთის მთავრობა შესაძლებლათ სცნობდა რუსეთთან სავაჭრო მოლაპარაკების გაგრძელებას. ეს პირობები მიიღო საბჭოთა მთავრობამ, რის შესახებ ჩიჩერინმა აცნობა ბრიტანეთის მთავრობას 7 ივლისს. ამას შემდეგ ბრიტანეთის მთავრობამ მოლაპარაკების გასაგრძელებლათ შემოუშვა კამენევი და კრასინი. ეს პირობები იყო შემდეგი: 1) საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს მტრულ მოქმედებაზე და პროპაგანდაზე ინგლისის დაწესებულებათა წინააღმდეგ; 2) საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს მოქმედებით ან პროპაგანდით აღელვოს აზიის ხალხები ბრიტანეთის ინტერესების და ბრიტანეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ; 3) საბჭოთა მთავრობა ნებას აძლევს ინგლისის ქვეშევრდომებს დაბრუნდენ რუსეთიდან, თავის მხრივ ინგლისის მთავრობა ხელს არ შეუშლის ბრიტანეთიდან და მის კოლონიებიდან რუსების დაბრუნებას სამშობლოში. ეს იყო ის სამი პირობა, რომლის ასრულებაზეა დამოკიდებული რუსეთსა და ბრიტანეთს შორის სავაჭრო მოლაპარაკების გაგრძელება. სავაჭრო მოლაპარაკება მართლაც გაგრძელდა და სავაჭრო ხელშეკრულების შავი თითქმის მზათაა, როგორც იტყობინება „დეილი ტელეგრაფი“. მაგრამ პირველ ოქტომბერს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონმა მიმართა საბჭოთა მთავრობას ნოტით, რომელშიაც იგი ამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობამ არ აასრულა დაპირებული. „ეს პირობები,—ამბობს ლორდ კერზონის ნოტა,—იყო და არის სასტიკათ დარღვეული. ბ-ნმა კამენევმა მოაწყო თითქმის ღია პროპაგანდა და შეეცადა დახმარებოდა კამპანიას ინგლისში ბრიტანეთის კონსტიტუციისა და ბრიტანეთის დაწესებულებათა წინააღმდეგ. და ამის გულისთვის მას არ ჰქონდა ნება შემოსულიყო ამ ქვეყანაში“.

წერილზე, რომელიც პრემიერ მინისტრმა გადასცა ბ-ნ კამენევს, როდესაც მან დასტოვა ლონდონი და რომელშიაც საბჭოთა მთავრობას პირდაპირ

დღეს

ბოლშევიკების ცნობით იტალიის საქალაქო არჩევნებში სოციალისტები იმარჯვებენ.

სომხეთის დიპლომატიური მისიის ცნობით ოსმალებმა ყარსი აიღეს.

დამფუძნებელი კრების სხდომები 9 ნოემბრიდან განახლდება.

ჰქონდა დასმული საკითხი: ანებებს თუ არ ანებებს თავს იგი პროპაგანდას, არაა მიღებული არც ცნობა, არც პასუხი. მესამე ინტერნაციონალის ეხლანდელ ყრილობაზე მოსკოვში, რომელზედაც თავმჯდომარეობდა ბ-ნი ლენინი და რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა მთავრობის წევრები, აშკარათ განაცხადეს, რომ კომუნისტური პარტიის მიზანია და მაშასადამე საბჭოთა მთავრობის მიზანიცაა იხმაროს ყოველი საშუალება, რათა დაამხონ მთელ მსოფლიოს დაწესებულებათა არსებობა. უმავთულო დეპეშები მთელი ქვეყნისადმი, თავის ინდივიდუალურ წევრთა და თავის პრესის საშვალებით საბჭოთა მთავრობას არასოდეს არ შეუწყვეტია მტრული ქადაგება დიდი ბრიტანეთისა და ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ. ახლა საბჭოთა მთავრობამ მოიწვია ბაქოში აზიელთა ხალხების რევოლუციური კონფერენცია ცხადათ მიმართული ბრიტანეთის ინტერესების წინაღმდეგ. საბჭოთა მთავრობა მოქმედებს კავკასიაში, სპარსეთში, ცენტრალურ აზიაში და ავღანისტანში, პირდაპირ მიმართული დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, კარგათ ცნობილია ბრიტანეთის მთავრობისათვის. ამას გარდა, წინააღმდეგ დიდი ხნის მოლაპარაკებისა და გულწრფელ და მტკიცე სურვილისა ბრიტანეთის მთავრობის მხრივ, რათა აღასრულოს პირობები ქვეშევრდომთა ურთიერთ დაბრუნების შესახებ, ბრიტანეთის მოქალაქენი იტანჯებიან რუსეთის ციხეებში ან არ აქვთ მიცემული ნება რომ დასტოვონ რუსეთი. ამ პირობების დაჟინებითი დარღვევა არ შეიძლება დიდ ხანს მოთმენილი იქნეს. სავაჭრო ხელშეკრულებისათვის მოლაპარაკებამ ბ. კრასინთან, რომელსაც მისი უდიდებულესობის მთავრობა მიელოდა, როგორც პირველ ნაბიჯს არა მარტო უბრალოთ მატერიალურ კეთილყოფისათვის აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ მშვიდობიანობის განახლებისათვის, მიაღწია წერტილს, როდესაც აუცილებელი შეიქნა საბოლოოთ გადაწყდეს, რომ ის პირობები, რომელიც მას საფუძვლათ ედო, ასრულდება თუ არა, თუ გინდა მიტოვებულ იქნას იმ წუთში, როდესაც იგი გამარჯვებას იწყებდა.

ამ საკითხზე პასუხის გაცემა ეკუთვნის საბჭოთა მთავრობას. მისი უდიდებულესობის მთავრობისათვის შეუძლებელია დაიყვანოს ხელშეკრულება ბოლომდე თუ 1 ივლისის ნოტის სამი პირობა აუსრულებელი დარჩება.

საბჭოთა მთავრობამ უნდა აასრულოს მისი დაპირება: უარი სთქვას ამ ქვეყანაში და აღმოსავლეთში მტრულ პროპაგანდაზე და მოქმედებაზე. ყველა ბრიტანელი, რომელიც ეხლა დაკავებულია რუსეთში, რომელთაგან ზოგიერთი შეუძლებელ და მტანჯავ პირობებშია, ნება უნდა მიეცეს დაბრუნდეს თავის ქვეყანაში დაუყონებლივ.

მისი უმაღლესობის მთავრობას არ შეუძლია დაეთანხმოს აღთქმულ დაპირების დარღვევას, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ბრიტანელებს.

მოლაპარაკება ტყვეთა (მეზღვაურ, სამხედრო ან მოქალაქეთა) სრულ გაცვლისთვის რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის გრძელდება სუსტათ ან შეწყვეტით უკანასკნელი წლის ნოემბრიდან. მისი უმაღლესობის მთავრობა სავსებით მზათ იყო განურჩევლათ და გამოუკლებლივ დაებრუნებია ყველა რუსი სამშობლოში. ბ. ლიტვინოვი იყო, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ ტყვეთა გაცვლის დროს, გამორიცხულ ყოფილიყვნენ ისინი, ვისაც იგი უარს ეტყოდა და ვისზეც იგი მიუთითებდა, მაგრამ მან წარუდგინა ისეთი ბუნდოვანი ბრალდება, რომლის დამტკიცება მას არ ქონდა.

ამავე დროს, იმ შეთანხმების თანახმათ, რომელიც შეკრული იყო ბ. ლიტვინოვისა და ბ. ოგრედის შორის, ტყვეთა დაბრუნების საქმე გრძელდებოდა და ამ წლის ივნისის ბოლოსთვის 124 ბრიტანელი სამხედრო ტყვე და 727 ბრიტანელი მოქალაქე დაბრუნდა ინგლისში და ყველა რუსი სამხედრო ტყვე, რომელიც იმყოფებოდა ჩვენში და შვეიცარიაში დაბრუნებულ იქნენ. ამ თარიღის შემდეგ საბჭოთა მთავრობა ქმნიდა მთელ რიგ დაბრკოლებისას ამ საქმის გაგრძელების და სრულ დაბოლოვების საკითხში. ბრიტანულ სამხედრო მისიის წევრები, სარწმუნოა, თხუთმეტი, რომელიც დაიჭირეს ციმბირში დეკემბერში და იანვარში ჯერ კიდევ დატუსაღებულნი არიან რუსეთის ტერიტორიაზე". ნოტა შემდეგ ეხება დანარჩენ სხვა ბრიტანელ ტყვეებს რუსეთში და შემდეგ გადადის ბაქოში მომხდარ „რევოლუცია"-ზე, რომლის დროსაც ბოლშევიკებმა დაიჭირეს ბრიტანეთის წარმომადგენელი და სხვა ბრიტანელი მოქალაქენი. ნოტა განაგრძობს: „ჩვენი განმეორებითი ცდა ბაქოსთან პირდაპირი დამოკიდებულებისა, უნაყოფოთ დარჩა. მაშინ ბ. ლიტვინოვმა წინადადება მოგვცა გაგვეგზავნა დეპეშები ადერბეიჯანის მთავრობისათვის და ამისათვის გვეხმარა მოსკოვის საბჭოთა მთავრობის კეთილი სამსახური, რათა მიღწეულ ყოფილიყო უბედურ და უდანაშაულო პირების განთავისუფლება, რომელნიც სასტიკათ იტანჯებიან. დეპეშა მართლაც იქნა გაგზავნილი, მაგრამ საპასუხოთ წამოყენებული იქნა წინადადება, რომლითაც გაცვლილ უნდა ყოფილიყვნენ ბრიტანელების განსაზღვრული რიცხვი ოსმალების რიცხვზე ბოლტაში, უკანასკნელებს კი მრავალი ედებათ ოსმალეთის მთავრობის დამხობის ცდაში ან ჩადენილი აქვთ ბოროტება ამ ქვეყნის არამუსულმანურ მცხოვრებთა წინააღმდეგ. ჩვენ გვაქვს ფართო მოწმობა დაგანახოთ, რომ ბაქოს რევოლუცია მოხდა თქვენ მთავრობასთან რჩევის შემდეგ და უმთავრესათ თქვენი ჯარის შეწყობით. თქვენი პასუხისმგებლობის გაგრძელება აშკარავდება იმ დეპეშით, რომელიც მივიღეთ ამ 28 სეკტემბერს ბაქოში მყოფ ქართველ კონსულის მიერ და რომელიც ამბობს. მიუხედავათ იმისა, რომ მივიღე ნება ადერბეიჯანის მთავრობისაგან ბრიტანეთის მეზღვაურთ და სამხედრო პირების განთავისუფლებისათვის, ეს ბრძანება შეჩერებულ იქნა მოსკოვიდან.

ამავე დროს ბრიტანელების ხელში დარჩენილია ბრიტანეთის სხვადასხვა ნაწილში მცირე რიცხვი რუსებისა,— დიდი რიცხვი უკვე გაგზავნილია რუსეთში,—რომელთაც განთავისუფლება სურს, მიუხედავათ იმისა ჩადენილი აქვთ მათ რაიმე დანაშაული ამ ქვეყნის კანონის წინააღმდეგ თუ არა. ჩვენ ქვეყანაში იმყოფება ბ. ზაბუჟკინი და მისი ამხანაგები, რიცხვით ხუთი, რომელნიც დაკავებული იყვნენ აქ ინდოეთიდან მათი წამოსვლის შემდეგ მხოლოდ როგორც საშვალება იძულებულ იქნეს საბჭოთა მთავრობა განახორციელოს თავისი დაპირება. მისი უმაღლესობის მთავრობა უფრო შორს წავიდა, ვინემ მოლაპარაკება კერძო ჯგუფების და შემთხვევების შესახებ. 6 სეკტემბერს მე დეპეშა გავგზავნე წინადადებით, რომ ჩვენ თანახმა ვართ დავნიშნოთ დრო და ადგილი ორივე მხარის ერთისა და იმავე დროს ტყვეთა შესაცვლელათ. მე ამ დეპეშაზე პასუხი არ მიმიღია. საქმის ამნაირი მდგომარეობა არ შეიძლება გაგრძელებულ იქნეს. მოლაპარაკება ტყვეთა განთავისუფლების შესახებ არ შეიძლება, გადაიდოს, ან დაგვიანდეს ხელოვნურათ და უგულო მოპყრობით. კიდევ მეტი, მისი უმაღლესობის მთავრობისათვის შეუძლებელია ხელი მოაწეროს სავაჭრო ხელშეკრულებას იმ მთავრობასთან, რომელიც თელავს არა მარტო თავის დაპირებებს, არამედ იმ ქვეყნის ქვეშევრდომებსაც, რომელთა წარმომადგენლები მასთან მეგობრულ განწყობილებაში არიან. ჩვენ მოგვეცით დაპირება, რომელსაც ჩვენ სავსებით ვიცავთ ჩვენ არავითარ დახმარებას არ გავუწევთ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ მოქმედებას, იმ პირობით, რომ ოქტომბრის ათამდე ჩვენ გვექნება აშკარა სიცხადე, რომ პირობები, დადებული ბრიტანელ ტყვეთა განთავისუფლების შესახებ იქნება ასრულებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ისეთ ზომებს, რომელიც საჭირო იქნება მათ განსათავისუფლებლათ". თავის საპასუხო ნოტაში კრასინი ამტყუნებს ბრიტანეთის მთავრობას, რომელმაც არ შეასრულა თავისი აღთქმული პირობები. მიუხედავათ თავის დაპირებისა, ამბობს კრასინის ნოტა, ბრიტანეთის მთავრობა ეხმარებოდა პოლონეთს დიპლომატიური გზებით და სხვადასხვა გზით აც უმაგრებდა მას ზურგს. მიუხედავათ თავის დაპირებისა, ბრიტანეთის მთავრობა შემწეობას აძლევდა მეფის გენერალ ვრანგელს და ზოგიერთი ზომებით ამაგრებდა მას. მიუხედავათ თავის დაპირების, ბრიტანეთის მთავრობას ბევრი რუსი არ დაუბრუნებია თავის სამშობლოში, და განსაკუთრებით ბევრია ასეთი ეგვიპტეში, მაგრამ მაინც, ამბობს კრასინის ნოტა: „რუსეთის მთავრობა, რომელიც მოქმედებს რუსეთის და ინგლისის მუშათა მასების ინტერესების გულისთვის, მოითხოვს დაუყონებლივ განახლებულ იქნეს ეკონომიური და სავაჭრო დამოკიდებულება და შეკრულ იქნეს სრული ზავი ორივე ქვეყნის შორის. იგი მზად არის ყოველ წუთში დაამტკიცოს თავისი გულწრფელი სურვილი სწრაფათ შეთანხმების შესახებ და გადადგას ყოველი აუცილებელი ნაბიჯი, რათა დააჩქაროს ასეთი შეთანხმება". კრასინი ამბობს, რომ საბჭოთა მთავრობა გაანთავისუფლებს რუსეთში მყოფ ყველა ბრიტანელ ქვეშევრდომს, სამაგიეროთ ინგლისმაც უნდა გაანთავისუფლოს ყველა რუსიო. ამ გაცვლისთვის დრო ლიტვინოვთან უნდა გამოირკვეს. რუსეთის მთავრობა კრასინის პირით აღუთქვამს კერზონს, რომ იგი მიიღებს ზომებს, რათა ადერბეიჯანშიც დატუსაღებულნიც იქნენ განთავისუფლებულნი, თუმცაო, ამბობს კრასინი, ეს ძნელია, რადგან ეს ადერბეიჯანის მთავრობის საქმეაო. „რუსეთის მთავრობას არ შეუძლია რაიმე ინსტრუქცია მისცეს ადერბეიჯანის მთავრობას, შეუძლია მხოლოდ მეგობრულათ ურჩიოს ამ შემთხვევაში. რუსეთის მთავრობა უკვე მოელაპარაკა ამის შესახებ ადერბეიჯანის მთავრობას და არდგენს შემდეგ მოსაზრებას: ბაქოს მთავრობა გააგზავნის ტფილისში სპეციალურ დელეგატს, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას ამ ტყვეთა განთავისუფლების შესახებ. რასაკვირველია, იგულისხმება, რომ ბრიტანეთის მთავრობა თავის მხრივ გააგზავნის წარმომადგენელს ან დანიშნავს ვინმეს ტფილისშივე, რათა აწარმოოს ეს მოლაპარაკება. რუსეთის მთავრობა გააგზავნის ტფილისში სპეციალურ წარმომადგენელს ან აღჭურავს ამ უფლებით ადგილობრივ, იქ მყოფ წარმომადგენლობაში ვინმეს, რათა დაეხმაროს მოლაპარაკებას და რუსეთის მთავრობას აქვს საბუთი დაიჯეროს, რომ ამ მოლაპარაკებამ ტფილისში უნდა მიგვიყვანოს საკითხის გადაჭრამდე, ადერბეიჯანში ინგლისელების განთავისუფლებამდე და რომ საკითხის ეს გადაჭრა დამაკმაყოფილებელი იქნება ბრიტანეთის მთავრობისათვის. შემდეგ ნოტა იხსენიებს იმ „ფაქტს", რომ მოსკოვის მთავრობას არ დაუშლია ბაქოს მთავრობისათვის ტყვეების განთავისუფლება და დაასკვნის, რომ რუსეთის მთავრობა მზათაა შეუთანხმდეს ინგლისის მთავრობას და განაგრძოს ეკონომიური ხელშეკრულებისათვის მოლაპარაკება.

რას მოუტანს და რა შედეგებს მიაღწევს ეს მოლაპარაკება, ამას მალე დავინახავთ.

ვიქტორ ნოზაძე.

საბჭოთა რუსეთში

„ჩრეზვიჩაიკების" მოღვაწეობა. მოსკოვში გამოვიდა კომუნისტების ერთ-ერთ ცნობილ აგიტატორის ბ-ნ ლაცისის წიგნი, რომელშიაც ავტორი ამტკიცებს, რომ „ჩრეზვიჩაიკების" მუშაობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საბჭოთა მთავრობისათვის. სხვათა შორის, იგი ამბობს: „რომ არ ყოფილიყო საგანგებო კომისიები, რომლებიც ძირშივე სპობენ კონტრ-რევოლუციონერთა მოქმედებას,—ჩვენ დღემდე ვერ გავძლებდით. კონტრ-რევოლუციონერები ჩვენ შეგვჭამდნენო". ბ-ნი ლაცისი აქვეყნებს ზოგიერთ ცნობებს, რომლებიც ნათელს ჰფენენ „ჩრეზვიჩაიკების" მოღვაწეობას; სხვათა შორის, ცნობები სავსებით სრული არ არის, ვინაიდან თვითონ ავტორი შენიშნავს, რომ ცნობები შეეხება ცენტრალურ რუსეთის 20 გუბერნიას. ეს ცნობები რომლებიც 1918 და 1919 წლების 7 თვის განმავლობაშია შეკრებილი:

აჯანყებები.

ჩააქრეს აჯანყებები 344; ჩაქრობის დროს მოკლეს წითელ არმიელები 1150 კაცი; აჯანყებულთა მხრივ დაიხოცა სულ 3057 კაცი.

აღმოაჩინეს კონტ.-რევ. ორგანიზაციები

კადეტების 28; შავრაზმელების 107. მემარჯვენე ესერების 34; მემარცხენე ესერების 50; მენშევიკების 18; გამოურკვეველი 175; სულ 420.

თანამდებობის პირთა დანაშაულობანი.

გაძარცვა 819; ღალატი 391; საბოტაჟი 191; თვითნებობა 945; ქრთამი 442; სხვადასხვა 6211; დეზერტირობა 449.

დახაჯეს:

კონცენტრ. ბანაკში 9596; ციხეში ჩასმით 3434; მძევლები 13111; სულ 86893.

დახვრიტეს სხვადასხვა დანაშაულობისათვის:

შპიონაჟისთვის 102; აჯანყებისათვის 3082; კონტრ რევ. ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის 2024; აჯანყებაზე წაქეზებისათვის 455; სპეკულიაციისათვის 71; ბანდიტები 643; დეზერტირობისათვის 112; თანამდებობის დროს დანაშაულის ჩადენისათვის 206; სხვადასხვა 174; სულ 8389.

დახვრიტა პეტროგრადის „ჩრეზვიჩაიკამ".

შპიონაჟისათვის—46 კაცი; კონტრრევ.—565; სპეკულიაციისათვის—30; ბანდიტები—438; დანაშაულების ჩადენისა სამს. საქმეებში—115; ყალბი ფულის დამზადებისათვის—6; სულ—1306 კაცი.

გარდა ამისა მოსკოვის „ჩრეზვიჩაიკამ" დახვრიტა სულ 234 კაცი; სრულიად რუს. „ჩრეზვ. ჩაიკამ": 1918 წელს —454, 1919 წ.—327, სულ—781 კაცი; ქ. კიევის „ჩრეზვიჩაიკამ"—825 კაცი.

თავისთავად ცხადია, რომ ბ-ნ ლაცისის მიერ მოყვანილი ცნობები არ არის სრული, ვინაიდან მასში არ არის შეტანილი მათი რიცხვი, რომლებიც დახვრიტეს სხვადასხვა გუბერნიებში და სხვადასხვა ორგანიზაციებმა; არაა შეტანილი აგრეთვე ფრონტის „ჩრეზვიჩაიკების" მიერ დახვრეტილთა სია და სხვა! თუ ამ ცნობებსაც დაუმატებთ, მაშინ დახვრეტილთა რიცხვი საგრძნობლათ გაიზრდება.

გაზ. „იზვესტიას" ცნობები.

მოსკოვი. მოსკოვში გენ. ჯან სი-ლინის მეთაურობით ჩინეთის სამხედრო დიპლომატიური მისია ჩამოვიდა. „იზვესტიის" ცნობით მისიის მიზანია საბჭოთა რუსეთის გაცნობა და მასთან ნორმალურ პოლიტიკურ და სავაჭრო დამოკიდებულებათა დამყარება. მისიის წევრებს და ჩიჩერინს უკვე ქონდათ რამოდენიმე თათბირი.

„იზვესტია" იუწყება: სასწრაფო ქაღალდები, რომელთაც მოსკოვში ერთი დაწესებულებიდან მეორეში გზავნიან, ხშირად გზაში მთელი დღეობით და ხან კვირაობით რჩება. ბევრი შიკრიკი ხშირად მთელ სამუშაო დღეს კარგავს იმისთვის, რომ ერთი-ორი კონვერტი წაიღოს.

— „იზვესტია" იუწყება: აღმოსავლეთ ხალხების კომუნისტურ ორგანიზაციის ცენტრალურმა ბიურომ მიიღო ცნობა, რომ აღმოსავლეთის ხალხების ყრილობის დელეგატები სპარსეთიდან, ზადე, ზაინალი და აბდულ-ზადე სპარსეთის საზღვრის გადასვლის დროს დაიჭირეს და მოკლეს სპარსეთის ჟანდარმებმა.

— საბჭოთა პრესა იუწყება: რუსეთის სავაჭრო დელეგაციის მდგომარეობა კრიტიკულია. კრასინმა რამოდენიმე დიდ კონტრაქტს მოაწერა ხელი. სავაჭრო ფირმებთან მოლაპარაკება პოლიტიკურ მდგომარეობის მიუხედავათ სწარმოებს, თანახმად კონტრაქტებისა, რომლებიც რუსეთის დელეგაციამ ინგლისის ფირმებთან დასდო რუსეთში ტანისამოსის შეტანის შესახებ, ამ ჟამად 100,000 გირვანქა სტერლინგს უდრის. შეკვეთილია ავტომობილის შინები—510,000 გირ. სტერლინგისა. საქონელს რუსეთში რეველით შემოიტანებენ. რუსეთიდან უმთავრესად გაიტანებენ ტყის მასალას".

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

გაფიცვები.

მოსკოვი, 3 ნოემბ. ტრანსილვანიაში გაფიცვებმა საერთო ხასიათი მიიღო. მეშალაროები შეეცადნენ მაღაროებში მანქანების დამტვრევას. სოციალისტებს აპატიმრებენ.

სამოქალაქო ომის შედეგები ტაშკენტში.

ტაშკენტის რკინის გზებზე სამოქალაქო ომის დროს დაინგრა და აფეთქდა 140 ხიდი, მათ რიცხვში დონგუზის, და სხვა. ეხლა სწარმოებს მუშაობა მათ აღსადგენათ დიდი მუშაობა დასჭირდა ტელეგრაფის დამოკიდებულობის აღდგენას. ამ ჟამად მოწესრიგდა პირდაპირი დამოკიდებულება მოსკოვ-ტაშკენტს შორის.

შრომის ბეგარა.

წითელ ჯარს ესაჭიროება საცვლები. სახ. კომის. საბჭომ გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალით ყველა მოქალაქე 16 წ. 45 წლამდე მოვალეა ჩაეწეროს შრომის ბეგარაში წითელი ჯარისათვის საცვლების დასამზადებლად.

სოციალისტების გამარჯვება.

იტალიის სოციალისტები იმარჯვებენ საქალაქო არჩევნებში. იტალიის ქალაქთა უმეტესობას ეუფლება სოციალისტური გამგეობა.

თეთრგვარდიელთა გემი იძირება.

მოსკოვი, 2 ნოემბ. „პრავდა" მოწინავე წერილში სწერს: პოლონეთთან ზავის დადების შემდეგ, ყველა შავრაზმელმა თავი მოიყარა ბარონ ვრანგელის გარშემო. ბალახოვიჩის ჯარს პოლიტიკურ ხელმძღვანელათ ყავს ყოფილი ესერი სავინკოვი. ვრანგელის სამხრეთის ჯარსა ხელმძღვანელობს ცნობილი კლიმოვიჩი. სავინკოვმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს: მის ლაშქარი იბრძვის ზავისა, მიწისა და დამფუძნებელი კრებისათვის, გენ. ბალახოვიჩი იბრძვის თავისუფალ დემოკრატიული რუსეთისათვის. გენერალმა და მემამულეებმა იციან, თუ როგორ სწყურია ზავი მშრომელ მასას. მათ ყოველივე ზომა მიიღეს და იბრძვიან მშრომელთა განსათავისუფლებლად. საზღვარგარეთ დარიხვენილია ანტიბოლშევიკური პრესა. ვრანგელის მინისტრათ ყოფილ მეფის „ოხრანნიკის" დანიშვნის გამო, ვრანგელმა განაცხადა, რომ იგი ბოლომდის იბრძოლებს. დღევანდელი დღის მიზანია დავაჩქაროთ (დამახინჯებულია)....... ვრანგელმა...... (გამოტოვებულია) სავინკოვი, [illegible] კლიმოვიჩი, შედგა ერთი შეხმატკბილებული წრე, რომელსაც არავითარი ნდობა არა აქვს მშრომელ მასაში. თეთრგვარდიელთა გემი იძირება დრაგომიროვებით, მახნოვებით და კლიმოვიჩებით. ჩვენ უნდა დავეხმაროთ, რომ სულ ჩაიძიროს ეს გემი, რათა მშრომელ ხალხს მოვაცილოთ გენერლები და ოხრანნიკები.

მეშალაროეთა გაფიცვა ინგლისში.

ზოგიერთ რაიონებში მეშალაროეები წინააღმდეგი არიან იმ შეთანხმებისა, რომელიც აღმ. კომიტეტსა და მთავრობის შუა მოხდა. მეშალაროებს შეთანხმების წინააღმდეგ სურთ ხმის მიცემა. კანკჰერსტს „კომუნისტ." გაზეთში წერილის მოთავსების გამო 6 თვით დაპატიმრება მიუსაჯეს.

გადაწყვეტილება ფრანგი სოციალისტებისა.

საფრანგეთის სოც. აღმ. კომიტეტმა და შრომის [illegible] კონფერენციამ გადასწყვიტეს ერთად მოქმედონ რუსეთის რევოლუციის დასაცავად. საფრანგეთის ყოველ კუთხეში მიტინგები და მანიფესტაციები მოხდა.

ლიონის ცნობები

ელჩთა კონფერენციის სხდომა.

ელჩთა კონფერენციის სხდომა შესდგა სამშაბათს ჟიულ კამბონის თავმჯდომარეობით. განიხილეს მოხსენება დანციგის და პოლონეთის წარმომადგენელთა მოლაპარაკების შესახებ. მოლაპარაკება სასურველად მიმდინარეობს.

„დება" სწერს: ვენიზელოსმა გუნარისის მიერ კონსტანტინეს სასარგებლოთ შედგენილ კამპანიის შესახებ სთქვა: საბერძნეთის ხალხს სურს მეფე, რომლის უფლებას არავინ შეეხება, რეაქციონერებს პრინც პავლეს უფლებაში ეჭვი შეაქვთ და ამიტომ ლიბერალურ პარტიას სურს ეს საკითხი საზოგადოებრივი აზრის მიხედვით გადასწყვიტოს.

უელსის შთაბეჭდილება ბოლშევიკური რუსეთის შესახებ.

ინგლისის ცნობილი მწერალი უელსი ამ ჟამად რუსეთში იმყოფება. როგორც სჩანს, ის მაღალი აზრის არ არის ბოლშევიკურ ორგანიზაციებზე. უელსი აღნიშნავს, რომ გლეხების მდგომარეობა არ შეცვლილა. ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება დაშლილია. კომუნისტურ პარტიაში ითვლება 100000 კაცი. ის იცავს ცენტრალურად წესრიგს და მას დაუწესებია სურსათის სისტემა, (ულუფებით) რომელიც შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე რუსეთშიო.

გერმანული პრესა

მაღაროების ნაციონალიზაციის გარშემო.

ქვანახშირისა და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მაღაროების ნაციონალიზაციის შესახებ საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა ჰუგო შტინესმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გერმანიის საქონლის გაცვლა-გამოცვლის საკითხი სიკვდილ სიცოცხლის საკითხია და მრეწველობის აღორძინების საქმე სავსებით ქვანახშირის მიწოდებაზეა დამოკიდებული.

მან საჭიროდ აღიარა ქვანახშირის დამუშავების გაძლიერება. ეს არის ერთად ერთი საშუალება მილიონების გადასარჩენად და სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლადო. ორატორმა საუკეთესო ღონისძიებათ მიიჩნია სოციალიზაცია და მომხმარებელთა კავშირის შექმნა. პაიების უმრავლესობა სახელმწიფოს, ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას უნდა ეკუთვნოდეს. მან ასეთ ღონისძიებათა მიღება საჭიროდ მიიჩნია განსაკუთრებით ელექტრონის ტრანსპორტისა და სხვა ყოველგვარ სამრეწველოებში.

სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირი.

გერმანიის სამეცნიერო აკადემიამ, უნივერსიტეტმა და სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმა საერთო ღარიბების პირობების გამო შეადგინეს გერმანიის სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირი. კავშირის პირველი სხდომა შესდგა შაბათს ბერლინში. ეს კავშირი დანიშნავს 19-წევრ კომისიას, რომელიც გამოიმუშავებს საკუთარ ბიუჯეტს. კავშირის თავმჯდომარეთ არჩიეს განათლების ყოფილი მინისტრი შმიდტი, თავმჯდომარის ამხანაგათ კი პროფ. ლიკე და ლალემი.

ინგლისი და საფრანგეთი.

თემთა პალატაში ჩემბერლენმა განაცხადა, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობათა გაუგებრობა გამოწვეული იყო ბრიტანეთის მთავრობის ცნობის დაგვიანებით.

ყოფილ მეფის მომხრეების განზრახვა.

ყოფილ მეფის კონსტანტინეს მომხრეებს, როგორც ამბობენ, განზრახული აქვთ საბერძნეთში ძალდატანებით გადატრიალება მოახდინონ.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

სომხეთში სურსათის ნაკლებობა.

სტამბოლი. „ჟურნალ დ'ორიან" იუწყება: რომ სომხეთში თითქმის აღარ იშოვება კვერცხი, ერბო, რძე და ყველი. შინის კრიზისის გამო გადაწყვეტილია გადაასახლონ ყველა ლტოლვილები.

ოსმალო ტყვეების დაბრუნება.

ოსმალეთის მთავრობამ მიმართა ინგლისის კომისარს თხოვნით ხელი შეუწყოს ციმბირიდან ოსმალო ტყვეების დაბრუნებას. განზრახულია ოსმალები იაპონიით გამოატარონ.

ოსმალეთი და ბულგარია.

ოსმალეთის და ბულგარიის მთავრობებს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც ოსმალეთმა უნდა დაუბრუნოს ის რაზმები, რომლებმაც გადალახეს ბულგარიის საზღვარი იმ დროს, როდესაც საბერძნეთის ჯარებმა ფრაკია დაიკავეს.

კომუნისტებს მცირე თანამგრძნობნი ჰყავთ.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატი" იუწყება: ლატვიასა და ესტონეთში დიდი სახელი აქვს სოციალისტ მენშევიკებს. კომუნისტებს მეტად მცირე თანამგრძნობნი ჰყავთ. ესტონეთში არც ერთი ბოლშევიკური გაზეთი არ არსებობს. აქ შემოაქვთ ბოლშევიკთა გაზეთი „ვპერიოდ", რომელიც რუსეთში იბეჭდება. ესტონელები მტკიცედ სდგანან თავის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე.

პრესტიჟის დაცემა.

ლონდონი. „ტაიმსში" დაბეჭდილია სპარსეთიდან მოსულ ინგლისურ ოფიცრის წერილი. ამ წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: ჩვენი სპარსეთიდან გამოსვლა დიდ ბრიტანეთის პრესტიჟს დიდ ზიანს აყენებს. ამ ცოტა ხნის წინად ბრიტანეთის პორუჩიკი სპარსეთში უფრო დიდი კაცი იყო, ვიდრე დიდი ქალაქის გუბერნატორი.

ოსმალთა თავდასხმა სომხეთზე

სომხეთის დიპლომატიურ მისიის ოფიციალური ცნობა. 4 დღის მკაცრი ბრძოლის შემდეგ 31 ოქტომბერს, ოსმალეთის ჯარებმა, რომელთაც დიდი დამხმარე ძალები მოუვიდათ, ყარსი აიღეს. რესპუბლიკის ჯარები გუმბრის მიმართულებით იწევენ და განუწყვეტლივ ბრძოლას აწარმოებენ.

ახალი ამბები

დამფუძნებელი კრების სხდომები განახლდება 9 ნოემბრიდან.

◆ **სოც. დემ. ფრაქციის სხდომა.** შაბათს, 6 ნოემბერს, დილის 12 საათზე დანიშნულია დამფუძნებელ კრების სოც. დემ. ფრაქციის საგანგებო სხდომა. ფრაქციის ბიურო სთხოვს წევრებს აუცილებლივ დაესწრონ სხდომას. განსახილველია მეტად მნიშვნელოვანი საკითხები.

◆ **შრომის სამინისტროში.** შრომის სამინისტრომ განმარტა, რომ ერთ და იმავე პირს ორ სხვადასხვა სამსახურში არ შეუძლია იღებდეს ერთი და იმავე ფულები, ესე იგი, ბინის ფული, მომატება, სურსათ-სანოვაგე, სალიკვიდაციო და სხვა. ერთი სამსახური უნდა ჩაითვალოს ძირითადათ, სხვა კი უნდა ჩაითვალოს ზედმეტ შემოსავლის წყაროდ. თუ დათხოვა ხდება ძირითადი სამსახურიდან ამ შემთხვევაში მუშები და მოსამსახურეები სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომელთაც ანიჭებთ მათ კანონი შრომის ხელშეკრულების შესახებ.

◆ **სამხედრო სასამართლოს სესია.** ნოემბრის 5-დან 19-მდე სამხედრო სასამართლოს სესია არის დანიშნული. ამ დროის განმავლობაში, სხვათა შორის, განიხილავენ ახალციხის [illegible] ფილ მთავარსარდლის [illegible] ლის საქმეს. აგრეთვე გაირჩევა საქმე მისი შტაბის უფროსის ჯაჯიხიასი, რომელსაც დაუდევრობა ბრალდება. გაირჩევა აგრეთვე სხვების საქმე, რომლებსაც ბრალდებათ სამხედრო ბრძანებების აუსრულებლობა ახალციხიდან 1919 წ. თებერვალში უკანდახევის დროს. ბრალდებულთ იცავენ ნაფ. ვიქ. მესხიშვილი, ბარათაშვილი, ჯავახიშვილი და სხვები.

◆ **გორის აღდგენა.** სატყეო განყოფილებაში განიხილეს გორის თვითმართველობის შუამდგომლობა ატენის ხეობიდან გორში დანგრეულ შენობათა აღსადგენათ საჭირო ხე-ტყის მასალის დათმობის შესახებ. სატყეო განყოფილება პრინციპიალურად დასთანხმდა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, იმ პირობით, რომ ყველა ის ორგანიზაციები, რომლებიც გორის აღსადგენათ მუშაობენ, შეუთანხმდნენ გორის ერობას, რომელსაც ხე-ტყის სახერხი ქარხანა აქვს.

◆ **ერობის ცხოვრება.** ერობათა კავშირმა სამაზრო ერობებს მიმართა ცირკულიარით, რომ მათ გამოგზავნონ ცნობები, რომლებიც შეეხება საექიმო და სასანიტარო საქმეებს, ეს ცნობები საჭიროა საერთო სტატისტიკურ მიმოხილვის შესადგენად. ერობათა კავშირი აღნიშნავს, რომ 1920 წ. უკვე გადის, მაგრამ საექიმო სასანიტარო განყოფილებაში შავი ჭირის და სხვა გადამდებ სენთა მსვლელობის შესახებ ცნობები ძლიერ ცოტა არის შემოსული. ასეთი ცნობები საექიმო-სასანიტარო განყოფილებაში უნდა იგზავნებოდეს ყოველკვირეულად, და შემდეგ ყოველ-თვიურად, თანახმად ამ ცნობებისა შეადგენენ საერთო სტატისტიკურ მიმოხილვებს. ერობათა კავშირი სთხოვს ერობებს დაუყონებლივ მიაწოდონ მას ყველა ის ცნობები, რომლებიც ესაჭიროება შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო სასანიტარო განყოფილებას.

◆ **რედაქციამ** კობისჯვარიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: 3 დღის მუშაობამ უნაყოფოთ ჩაიარა. გუშინ ამოვარდნილმა ქარმა და თოვლმა გაწმენდილი გზა გაავსო. გზა შეკრულია. წმენდას განვაგრძობთ. გთხოვთ გამოაცხადოთ, რათა ტფილისიდან ნუ გამოვლენ ავტომობილები, რომელნიც ძალიან ხელს გვიშლიან მუშაობაში. **კვეზერელი.**

◆ **მარგანეცის ექსპორტი.** 1919 წ. დეკემბრიდან 1920 წ. ოქტომბრამდე რესპუბლიკის საზღვრებიდან სულ გაუტანიათ 145,830,61 ტონი მარგანეცი. საშუალოდ ყოველ თვიურად საქართველოდან მილიონი ფუთი მარგანეცი გაქონდათ. უმეტესი ნაწილი მარგანეცისა გატანილია ინგლისში, სახელდობრ 75,135, ტონი, შემდეგი ადგილი უჭირავს იტალიას, სადაც 30,234,11 ტონი მარგანეცი არის გატანილი, შემდეგ ჰოლანდიას 19,971 ტონი, შემდეგ ბელგიას 8,642,5 ტონი, და ბოლოს საფრანგეთს, სადაც 2,327 ტონი გაუტანიათ. ამერიკაში, პოლონეთში 9 თვის განმავლობაში სულ გაუგზავნიათ 9,533,5 ტონი.

◆ **კოოპერატიული ცხოვრება.** ტფილისის კოოპერატივთა კავშირის გამგეობას განზრახული აქვს გახსნას კოოპერატიული სასადილო და რესტორანი. ამ განზრახვას მხარს უჭერს საქართველოს კოოპ. ცენტ. კავშირი.

— კოოპერატივთა კავშირის გამგეობამ მიიღო ცნობები ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში, სასოფლო სამეურნეო და რძის მრეწველობის სანოვაგეთა დამზადების შესახებ... ტფილისში უკვე შემოაქვთ რძის ნაწარმოები კოოპერატივთა შორის გასანაწილებლათ.

— ნოემბრის 14 შესდგება ტფილისის კოოპერატივთა რწმუნებულების სხდომა კოოპ. ცენტრ. კავშირის ყრილობაზე დელეგატების ასარჩევად.

◆ **დეპეშა ოზურგეთიდან.** სწუხარებით გაცნობებთ, რომ გამუდმებულმა წვიმებმა დიდი ზარალი მიაყენა მოსავალს. სიმინდის ჯერ მეოთხედი არაა აკრეფილი, დალპა ყურძენი დოლობით. მიუხედავათ დიდძალი ტბების და კოკისპირული წვიმებისა, ხალხი გასულია ველებში, მაგრამ პირნახულის გამოტანას ვერ ახერხებს. შემთხვევებია ტბაში 3 [illegible] დახრჩობის, ზემოხსენებული მათ უფრო სამწუხაროა, რომ მოსავალი ძალიან დიდი იყო. ეხლაც წვიმს. ერობის თავმჯდომარე **ქინტურიშვილი.**

◆ **დრამის თეატრი.** დღეს, საღამოს 7 საათზე სახელმწიფო დრამის თეატრში დანიშნულია საგანგებო სასწრაფო სხდომა დრამატ. საზოგ. გამგეობისა, რომელზედაც მიწვეულია ბ. განათლების მინისტრის ამხანაგი და დამფუძ. კრების ხელოვნების კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრები. განსახილველია ქართული დრამის აწინდელი მდგომარეობა და მისი მომავალი. ყველას სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ, ვინაიდან თუ ეს სხდომა არ შესდგა და ზემოხსენებული საკითხი საბოლოოდ არ გამოირკვა, ქართული დრამის წარმოდგენები უნდა შეწყდეს.

◆ **შეცდომის გასწორება.** მე-7-დე რაიონის კოლექტივის ანგარიშში შეპარულია შემდეგი შეცდომა: „კოლექტივმა მოისმინა ამხ. ლორიას მოქმედების შესახებ და სხ" უნდა იყოს: „კოლექტივმა მოისმინა საგამომძიებლო კომისიის მოხსენება ამხ. ლორიას და ვაშაკიძის შორის მომხდარ კონფლიქტის შესახებ" და სხ.

ქრონიკა.

დღეს 4 ნოემბერს საღამოს 6 ს. დანიშნულია მე-5-ე რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია [illegible] რაიონული კოლექტივისა, რაიონში მყოფ მცირე კოლექტივების და მუშათა წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა. მეტად მნიშვნელოვან კითხვების გამო ყველას დასწრება აუცილებელია.

— დღეს, საღამოს 5 საათზე თავის ბინაზე შესდგება საქ. ახალ. მარქსის.

ორგ. ც. კ. სხდომა. წევრების დასწრება კრებაზე აუცილებელია.

— დღეს, საღამოს 6 საათზე ახალი დროით შესდგება მეორე რაიონული კოლექტივის და მცირე კოლექტივების გაერთიანებული სხდომა.

— დღეს, 4 ნოემბერს, ს. ღ. 5 საათზე შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა.

ბრძანება

რესპუბლიკის მთავრობის შინაგან საქმეთა და სამხედრო უწყებათა მიმართ.

თანახმად 1919 წლის 6 ნოემბრის სეიმის დადგენილებისა, რომელიც გამოცხადებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იმავე წლის № 258-ში, რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე და სათადარიგო ჯარისკაცი ვალდებულია თან ქონდეს სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მაჩვენებელი საბუთი. მთავრობის ასეთი დადგენილების გამო გენერალურ შტაბმა სხვადასხვა დროს მოახდინა სათანადო განკარგულებები, ხოლო ამა წლის 8 ივნისს გამოცემული იქნა სამხედრო უწყების მიმართ № 49 ბრძანება, რომლის ძალით რესპუბლიკის ყველა სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცთა აღრიცხვა აუცილებლად უნდა დამთავრებულიყო მიმდინარე წლის 1-ლ აგვისტოს. სამხედრო მინისტრის ხსენებული ბრძანება ყველა სათანადო განმარტება დამატებებით დაურიგდა გენერალური შტაბის მიერ საყოველთაოდ აღსასრულებლად ამა წლის 23 ივნისს სამხედრო აღრიცხვის განყოფილებათა უფროსებს № 2676 ით და სამაზრო ერობათა თავმჯდომარეებს, თფილისის ქალაქის მოურავს და ათუხახის კომისარიატის თავმჯდომარეს № 2677-ით. მიღებული მხედველობაში, რომ დღეს რესპუბლიკის ყოველ მაზრაში არსებობს სამხედრო აღრიცხვის განყოფილება, ყოველ მოქალაქეს ადვილათ შეეძლო გამოცხადებულიყო თავის მაზრის სამხედრო განყოფილებაში და მიეღო კანონით მოთხოვნილი საბუთი. მიუხედავათ ამისა, მოქალაქენი მიმართავენ ქ. თფილისის სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსს მათი აღრიცხვაზე აყვანის შესახებ. ასეთ მოვლენიდან ნათლად სჩანს, რომ ზოგიერთ მაზრებში ჯერაც არ არის სისრულეში მოყვანილი ზემოხსენებული მთავრობის დადგენილების გამო სამხედრო უწყებისადმი გაცემული № 49 ბრძანება და მაზრის სამხედრო, თუ სამოქალაქო ადმინისტრაციამ არ იცის სად იმყოფება აღრიცხვაზე მისდამი რწმუნებული მაზრის სათადარიგო თუ მოლაშქრე ჯარისკაცი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო კატეგორიულად ვბრძანებ: 1) დღიდან ყველა სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცებს სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მაჩვენებელი საბუთი ეძლეოდეს თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 2) აეკრძალოს ქ. თფილისის სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსს პირველ პუნქტში აღნიშნულ საბუთების გაცემა იმ სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცებზე, რომელნიც არ არიან ქ. თფილისის მუდმივი მცხოვრებლები, 3) ყველა სამაზრო თუ საოლქო ადმინისტრაციას დაევალოს ყოველი სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცის პიროვნების გამორკვევა, რათა სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსის მიერ ყალბ პიროვნებაზე არ იქნეს საბუთი გაცემული და 4) სხვა მაზრებიდან ქ. თფილისში ჩამოსულნი ყველა ის სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცნი, რომელთაც არ აღმოაჩნდებათ ზემოხსენებული საბუთი, ქალ. თფილისის ადმინისტრაციის მიერ დაუყონებლივ იქნენ დაბრუნებულნი სათანადო სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსთან ამ საბუთის მისაღებათ.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

სამხედრო მინისტრის მაგიერ გენერალ **ა. გედევანიშვილი.**

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საჯარო სხდომაზე 1920 წლ. ნოემბრის 5 ს განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

1) საქმე ქალ. ბათომის „ევროპიულ სანავთო კომპანიასთან" და „ვ. მ. ლიანოზოვის შვილები". ამხანაგობასთან მამულის განთავისუფლების თაობაზე. 2) საქმე სავაჭრო სახლის „ა. გრიგორიანის" სალიკვიდაციო კომისიის თედორე მოროზოვთან 1655 მან. 45 კ. თაობაზე. 3) საქმე ლუკა და სამსონ ტყეშელაშვილისა ფილიმონ ტყეშელაშვილთან მამულის თაობაზე. 4) საქმე დონიკა ტიტე ძის და პეტრე და ილია ტაბატაძეებთან 1300 მან. თაობაზე. 5) საქმე ალექსი პაპულაძის, საჯაის იოსებ ქვარიანისთან შემდგარ სამედიატორო განჩინების სისრულეში მოყვანის თაობაზე. 6) საქმე ელისაბედ ვორონოვის დავით გედევანოვთან 1750 მან. თაობაზე. 7) საქმე გაბრიელ ხუნაშვილის თედო ბარნაბაშვილთან და კოლა ხუნაშვილთან ავეჯის დაბრუნების თაობაზე. 8) საქმე ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონის კოოპერატივთა კავშირის „სახალხო საქმის" გამგეობისა კინტირია ლუკავასთან სახლის დაცლის და ქირის თაობაზე.

უცხოეთი

გერმანია

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობა.

„ფორვერტსი" აქვეყნებს ამონაწერებს ამ ანგარიშიდან, რომელიც პარტიის გამგეობამ წარუდგინა ყრილობას კასელში. გერმანიის სოციალ-დემოკრატთა პარტიას მიმდინარე წელში შეუძენია მნიშვნელოვანი რაოდენობა ახალი წევრებისა, თუმცა უფრო მცირე, ვიდრე 1919 წ. წევრების მატება უდრიდა პარტიის წევრების რიცხვის 35%-ს; 1920 წელში წევრების რიცხვი გაიზარდა 168000 კაცით, რაც შეადგენს 16,5%-ს. სულ ეხლა პარტიაში არის 1,180,208 წევრი. პარტიული გაზეთების რიცხვი—85-დან 147 მდე გაიზარდა.

პარტიის აგრარული პოლიტიკა.

„ფორვერტსი" ეხება პარტიის აგრარული პოლიტიკის ძირითად ხაზებს. იმის და თანახმათ, უნდა მოხდეს იმ სოფლის ქონებათა და სატყეო მეურნეობათა სოციალიზაცია, რომლებიც ამისათვის მომწიფებულნი არიან, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საშუალო მეურნეობებს. იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობა არ მუშავდება ან და მას აწარმოებენ მტაცებლური წესით— მაშინ შესაძლებელია კონფისკაცია. შემდეგ გათვალისწინებულია ტყეებით და მიწით ვაჭრობის სოციალიზაცია, ნაყოფიერების აწევა, ზომები ჩასახლებისათვის, სასოფლო მეურნეობის, მანქანების, ნედლი მასალის და ხელსაწყო საშუალებათა წარმოების და განაწილების სოციალიზაცია, სასოფლო მეურნეობის პროდუქტებით შუამავალ ვაჭრობის მოსპობა და მთელი რიგი სხვა ზომებისა.

მოსკოვის სტიპენდიატები.

რამოდენიმე ხნის წინათ გერმანიის დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტიის ორგანომ „ფრაი ჰაიტმა" კომუნისტების გაზეთს—„როტე ფანე"-ს „მოსკოვის სტიპენდიატი" უწოდა. თავის მხრივ „როტე ფანე"-მ შენიშნა „ფრაიჰაიტს", რომ იგი თვითონაც არ ამბობდა უარს მოსკოვის მოწყალებაზე. ამის გამო „ფრაიჰაიტი" 30 სექტემბრის ნომერში სწერს: „ბერლინში მყოფ საბჭოთა წარმომადგენელს იოფეს აქვს გაზეთ ჯერ კიდევ 1918 წელს განუცხადა, რომ დამოუკიდებელი ს.-დ. პარტია არავითარ დახმარებას არ ღებულობს მოსკოვიდან თავის ბეჭდვითი ორგანოების გამოსაცემად, ც. კომიტეტი ყოველთვის უარს ამბობდა მოსკოვიდან ფულების მიღებაზე... ჩვენი ორგანიზაციები ვითარდებოდენ მხოლოდ საკუთარის ძალებით. მათ უარყვეს მოსკოვის ძალამოს, როგორც ეს ინებეს კომუნისტებმა. ვინც იცის გერმანიის კომუნისტურ პარტიის ზნეობრივი გახრწნა, რაც გამოწვეულია უმთავრესათ რუსეთის „სტიპენდიებით", მხოლოდ მას შეუძლია ღირსეულათ დააფასოს ჩვენი პარტიის თვალსა ხედვის აზრი". („ფრაი ჰაიტი").

საფრანგეთი.

საფრანგეთის სინდიკალისტების ყრილობა ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

თანახმად გერმანიის გაზეთებში დაბეჭდილ ტელეგრამისა ორლეანიდან, საფრანგეთის სინდიკალისტების (პროფ. კავშირების) ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომლითაც ის უარყოფს ბოლშევიზმს და მესამე ინტერნაციონალში შესვლას 1478 ხმით, წინააღმდეგ 602 ხმისა.

იმავე ცნობებით, ყრილობის უმცირესობამ დაადგინა—შეადგინოს განსაკუთრებული კომიტეტი, და აგრეთვე შეუერთდეს მე-3-ე ინტერნაციონალს, თუმცა ამასთანავე უარს არ ამბობს საფრანგეთის პროფესიონალურ მოძრაობას დამოუკიდებლობის პრინციპზე.

იტალია.

იტალიის სოციალისტური პარტია და მოსკოვის ინტერნაციონალი.

სტეფანის სააგენტოს 3 ოქტომბრის ცნობის თანახმათ, იტალიის სოციალისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 21 ხმით წინააღმდეგ 7 ხმისა, დაადგინა—მიიღოს მოსკოვის პირობები, მაგრამ მიიღო ამასთანავე შესწორება, რომელიც უარყოფს პირობების მეშვიდე პუნქტს, რომლის თანახმადაც რეფორმისტები უნდა გამორიცხულ იქმნენ პარტიიდან კონგრესის შემდეგ. სერრატიმ უარი განაცხადა პარტიის ცენტრალურ ორგანოს ხელმძღვანელობაზე.

ორი ლექსი

1.

მეზარება დიდხანს ფიქრი,
დიდხანს ლექსთა წყობა;
დე მანამ სთქვას, ვისაც უთქვამს
გაბმული სიმღერა!

მოწყვეტილი ჩემი ჰანგი
ჰგავს მეხქარე მეხსა;
მეხსა ციდან ჩამოვარდნილს,
მთებზე დანატეხსა!

2.

ვინც უნდა მკიცხოს, მე მიყვარს ღვინო!
მე ვარ ბოგემა!—ლოთების ღმერთი!
ყველა დავათრო და მივაძინო,—
ვერ შემეჯიბროს სმაში ვერც ერთი!

სადაცა ვჩნდები მხვდება სუფრები,
ბასტურმის მწვადებს გააქვთ შიშხინი!
სადღეგრძელო თუ შესანდობრები
იცლება ყველა!—ჩაღდება ლხინი!

ვინც უნდა მძრახოს, მე მიყვარს ღვინო!
საქართველოში მე ვარ თამადა!
მრისხავდეს ნოე, თუ მოგაწყინოთ,
თუ არ აღგიძრათ თქვენც ლხინის მადა!

გ. ქუჩიშვილი.

ნიკა ფაქიზაშვილი

(წერილი გზიდან)

რომელიღაც სოფლიდან მოვდიოდი ორქალას შუა დაქნილ გზატკეცილზე. შემოდგომის ქარი ქროდა და ხეებს აცრევინებდა უკანასკნელ ფოთლებს. ისეთი თრთოლა ჰქონდათ ირგვლივ, ისე კანკალებდნენ გაბოლოდ შობილებული შიშველი ხეები, თითქოს ხელები აღუპყრიათ ციისკენ ლოცვად დამდგარ მერებივით და ზეცას ემუდარებოდნენ: დამშვიდებულიყო, მიეყუჩებინა მქროლავი ქარი და შეებრალებინა ხეებისათვის მოსაწყვეტათ გამზადებული ფოთლები. ან როგორ არ უნდა შეწუხებულიყვნენ, როდესაც ჰკარგავდნენ საუკეთესო მოდ საყვარელს ფოთლებს, რომლებიც გაზაფხულის ჟამს დაიბადნენ და უმღერეს სამი შრიალით მომხიბლავი ზღაპარი გაზაფხულისა და სიხარულისა, სილამაზისა და სიყვარულისა.

ვუცქერდი ამ ნაღვლიანს სურათს და მეგონა თითქოს მთელი ბუნება გადაქცეულიყო იმ ბრმა მეჭიანურეთ, რომელსაც ცხოვრების ძნელ ყურყუმებში დაუკარგავს: სინათლე, მოყვასნი, მეგობრები, იმედის ნიორები და ახლა ჰანგით განწირულს ქვითინით შესტირის, ეძებს დაკარგულებს და ამაოდ, ამაოდ, ვერ მიუგნია.

ამ კაეშნიან, მოქვითინე ჰანგებით მქონდა მინაბული გული, რომ გზად შემომხვდა სოფელ ახმეტიდან მომავალი ამხანაგი და გულს შემომყარა: პანკისში მოგვიკლეს ნიკა ფაქიზაშვილიო.

შიო არაგვისპირელის თილისმან ზარის გაზზარვას ისე არ შეუკრთია ეთერის გული როგორც ამ გრძელმა ამბავმა ნიკას ტრაგიკულ ბედმა.. ვისაც უმუშავნია სოფლად და გაეცნობა ჩვენა თითო ოროლა ამხანაგებს—ის ადვილად მიხვდება რა საშინელია ასეთი ამბის მოსმენა..

დადიხარ სოფლად, ეძებ ხალხს თავდადებულს, წინამძღოლს თვისი ბნელ გაუნათლებელი ამხანაგებისას და ვერსად გხვდება... სოფელი მიტოვებულია ტიალი ბედის ამარა... სოფელს არ ეკარებიან მსწავლულნი და ასეთს კუთხეში ჯოჯოხეთურ პირობებში მუშაობას სთანხმდებიან ნიკასთანა ამხანაგები, რომლებსაც ბედი ძალიან პირშავად მოპქცევია, მოუსპია საშუალება თავის რჩენისა, სწავლის ძიებისა და დაუჯილდოვებია მხოლოდ ერთი დიდი ღირსებით: თანამოძმეთადმი განუსაზღვრელი სიყვარულით. ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ვხედავდი, რომ ისეთი უსწავლელი, ცხოვრებაში გამოუსვლელი პირები, როგორიც არიან ფაქიზაშვილები, როგორ ახერხებდნენ იმდენი ნებისყოფის გამოჩენას... საიდან ჰყოფნიდათ იმდენი მოთმინება და სიყვარული ხალხისადმი... უზარმაზარი რაიონი ახმეტა-პანკისა და აქ ერთადერთ მეთაურად და წინამძღოლად ნიკა ითვლებოდა. მან შემოიკრიბა თავის გარშემო პარტიული ამხანაგები, გვარდიელები და მრავალი სხვანი. მისი თავგამოდებული მუშაობის წყალობით მუდამ ბრწყინვალეთ ვიმარჯვებდით ხოლმე ყოველ გვარს არჩევნებში და გაწვევების დროსაც ის გაეხმაურებოდა ხოლმე გვარდიის შტაბებს მობილიზაციის ღირსეულად ჩასატარებლად... როდესაც ჩვენ დაგვეჭირდებოდა ხალხში გასვლა, უეჭველად ნიკოსთვის უნდა მიგვემართა... იგიც, რაც უნდა დაბანდებული ყოფილიყო პირად საქმეებით—მაინც თავს ანებებდა და გამოგვყვებოდა ხოლმე. ნიკა ფაქიზაშვილი იყო თიანეთის სამაზრო კომიტეტის წევრი, ახმეტის კოლექტივის თავმჯდომარე და სხვა...

არა ჰქონდა ახმეტის რაიონს განათლებული პირები, მაგრამ მე მაინც არ მაფიქრობდა ეს... ნეტავ ყველა რაიონებს გაუჩნდეთ ნიკოსთანა პირები და მათ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს-მეთქი..

ჩვენი ქვეყნის მომავალი მე ბრწყინვალეთ მეჩვენებოდა იმიტომ, რომ შიგ ხალხში გვყავდნენ ასეთი თავდადებული საყვარელი ხალხის წრიდან გამოსული პირები... მეგრგანწყობილი გამოვთქვი; მაზრა არაა ქართლ კახეთში, რომ მეგობრად არა ჰყავდეს უბრალო, უსწავლელი ხალხი, რომელნიც სალ კლდეებსავით უდრეკ უმ ხვრეები არიან-მეთქი და ჰკვნესას, ქვითინებს გული, რომ ასეთი პირები იხოცებიან და ჰშორდებიან ოცნების ხეებს იმ შემოდგომის ფოთლებისავით...

საშინელია დაკარგვა ამხანაგისა, ისიც ისე ტრაგიკულად, ისე ულმობლად და უბრალოდ..

რა უცოთ, თუ ნიკა ფაქიზაშვილი ახმეტელების სიამაყეს და თვალის ჩინს წარმოადგენდა... სამაგიეროდ ის არ მოსწონებია ერთს არამზადა თემის მილიციის უფროსის თანაშემწეს, რაღაცაზე აპილპილებულა, გაანჩხლებულა და რევოლვერი დაუხლია ნიკასათვის...

ბევრს ვიცნობ პაპასკირისთანა (მკვლელის გვარია) პირებს... ესენი ყველგან შეხვდებიან დუშეთის, თიანეთის, ბორჩალოს, თელავის და სხვა მაზრებში... სრულიად ყმაწვილი ახალგაზრდები, თავქარიანები, ფუქიანები და ბრაზიანები როგორღაც ახერხებენ ადმინისტრაციის სამსახურში შეძვრენას და უწითლებენ ხალხს ცას თავიანთი სიცრუგით... ბევრგან მილიციის უფროსი ჯერაც ღვთის რისხვაა და ჩვენი აღმასრულებელი ძალის აბრუს გამტეხი.. რა უბედურებაა ჩვენს თავის, როგორ ვერ შეიგნეს ჩვენმა ერობებმა, რომ არაფერი ხეირის დაყრა არ შეუძლიან მაზრისთვის ასე ქუჩაში ნაპოვნი პირების სამსახურში მიღებით.

თუ დიდ თანამდებობისთვის ადგილობრივ ვერ გამოგვინახნია შესაფერისი ძალები—თემის, თუ რაიონის მილიციის უფროსის და მისი თანაშემწის თანამდებობისთვის მაინც გამონახონ შინაური ძალები. ბევრგან შეხვედრივარ უფროს მილიციონერად ყოფილა დინჯი-დარბაისელი, ჰკვიანი, საკმაო გამოცდილების მქონე გლეხ-კაცი და მისს უფროსად ყოფილა „კორეკა" ვინმე, რომლის ერთად ერთ ნიჭს შეადგენს სულელური თვალების კარკვლა, გაწიწმატებითი ლაპარაკ-ყვირილი, მათრახის ტლაშუნი სხვა და არაფერი.

მე პირადად არ ვიცნობ პაპასკირს რომელმაც წუთისოფლს გამოასალმა ამხანაგი ნიკა, მაგრამ ამხანაგების აწერილობით ის ზემოდ დახატული პირების პირწავარდნილი ასლი ყოფილა.

ერთხელ მომიხდა ნიკას სახლში რამდენიმე ღამის გათევა და საშინელი გაჭირვებული ცხოვრების მოწმე გავხდი ან საიდან ექნებოდა დოვლათი, როცა მთელი თავისი სიცოცხლე ხალხს ანაცვალა.

ბედკრულს ერთი კოდი პურის მეტი აღარა დაჰრჩარა და ლამის წამოენგრეს ქოხი, რომელიც თვითეულ ქარის წამობერვაზეც ზანზარებს.

ყოვლად უმწეოდ დაჰრჩა ცოლი და ოთხი წვრილი შვილი.

ახმეტა პანკისელებო, ნიკამ თქვენს სამსახურში გაატარა დრო, თქვენ გევლებოდათ, გეალერსებოდათ და დღეს როცა უდროოდ დაეკრიფა ხელები—ნუ დასტოვებთ უყურადღებოდ მისს ოჯახს.. ნუ დააჩაგვრინებთ სიმშილს და სიცივეს მისს ობლებს... ცალკე რომელიმე მეზობელს გაუჭირდება საგრძნობი დახმარების მიცემა, მაგრამ ყველას არ გაგიძნელდებათ... დაეხმარეთ, მიხედეთ... დედა შეერიოს ცოლად ვინც არ გამოხმაუროს...

დ. თურდოსპირელი.

საქ. ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციებს

ამხანაგებო!

მუშაობის მოდუნებამ ჩვენს ორგანიზაციებში მწვავეთ დასვა ჩვენს წინ საკითხი ამ მუშაობის ხელახლა გაღვივებისა და მის სათანადო სიმაღლემდის აყვანისა. ამ ორგანიზაციულ ნაკლულოვანებათა დაძლევით და გამოსწორებით, ჩვენის აზრით, გამოსწორდება თვით კულტურული მუშაობაც ჩვენს ორგანიზაციაში, რაც შეადგენს ჩვენის ორგანიზაციის პირდაპირ მიზანს.

აქამდის, სხვადასხვა ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ც. კ. ვერ მოახერხა რადიკალური ზომების მიღება ამის წინააღმდეგ. ეხლა კი ეს შესაძლებელი ხდება, ცენტრალურმა კომიტეტმა გამონახა სათანადო თანხა, და ამ დღეებში წამოვლენ პროვინციაში ორი ჩვენი ამხანაგი,—ამხ. ვ. ნუცუბიძე და მ. კვატაშიძე პროვინციალურ ორგანიზაციებში—ორგანიზაციულ და იდეურ მუშაობის საწარმოებლათ. ისინი მოივლიან უმთავრეს პროვინციალურ ორგანიზაციებს, გამოასწორებენ შეძლების დაგვარათ კულტურულ და იდეურ მუშაობის ნაკლებს და წაიკითხავენ მოხსენებებს.

პროვინციალურ ორგანიზაციებს ევალებათ ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი ამ ამხანაგებს, მათი ჩამოსვლის დღისთანავე (ეს ქვევით იქნება გამოცხადებული) შეუდგნენ ენერგიულ მუშაობას, შეუმუშაონ ც. კ. ხარჯები და შემდეგ კი გაორკეცებული ენერგიით შეუდგნენ მუშაობას.

ჩვენს წინ სდგას, ამხანაგებო, გადასაჭრელათ მეტად მნიშვნელოვანი საკითხი—საჭიროა ორგანიზაციულ და კულტურულ მუშაობის გაღვივება, რათა აღიზარდოს მომავალი მარქსისტული თაობა შესაფერისის ერუდიციით და რევოლიუციონური ტრადიციებით. ჩვენ გვჭირია ასეთი ახალგაზრდობა. ამისთვის საჭიროა რევოლიუციონური ნებისყოფა და დიდი მუშაობა. ვიმედოვნებთ რომ როგორც პირველს, ის მეორის უნარს გამოიჩენენ ჩვენი პროვინციალური ამხანაგები და შესაფერისათ გამოიყენებენ ამ ახალ გარემოებას.

მოხსენებები პროვინციაში.

საქარ. ახალ. მარქს. ორგ. ცენტრ. კომიტ. წევრები მ. კვატაშიძე და ვ. ნუცუბიძე, ც. კ. დავალებით წაიკითხავენ მოხსენებებს შემდეგ ადგილებში, 1) გორში და ხაშურში ნოემბ. 6-ს, 2) ყვირილაში და აბაშაში ნოემბ. 9 ს, 3) სამტრედიაში და ახალ სენაკში ნოემბ. 10. 4) ზუგდიდში და ლანჩხუთში 12 ს, 5) ოზურგეთში და ჩოხატაურში 13 ს, 6) ფოთში და ბათომში 15 ს, 7) ქუთაისში (მ. კვატაშიძე) 17 ს, 8) ჭიათურაში (იგივე) 19-ს. ეს გეგმა დაახლოვებითია, შეიძლება ამხანაგებს ზოგ ადგილას დავაგვიანდეთ, მაგრამ ორგანიზაციები მზათ უნდა იყვნენ მათ დასახვედრათ, ცნობები უნდა „მოამზადონ, და დანიშნონ საზოგადო კრებები.

მოხსენებების თემა—„ჩვენი გზა სოციალიზმისაკენ".

საქართველოს ახალ. მარქს. ორგანიზაციების ცენტრ. კომიტეტი.

კიდევ „ლახვარის" საპასუხოთ.

ამხ. „ლახვარი" კიდევ ცდილობს „ახ. სხივი"-ს ფურცელს (№ 27).

კილურაძე „ზასტრელშჩიკი" არ ყოფილა. ამას თუმცა პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ რაკი სიტყვამ მოიტანა ვიტყვი, რომ კილურაძე შტაბის მთავარი მბრალდებელი და კომისიის მომხსენებელი იყო კრებებზე. ეს „კლიჩკაც" მას მისცეს დამსწრეებმა იქავე, ოზურგეთში.

თქვენ სწერთ ცხენის მითვისების საკითხი არ შეიძლება გამორკვეულათ ჩაითვალოსო და მოგვითხრობთ: ცხენი მათითაიშვილს პირდაპირ ლანჩხუთიდან წაუყვანია სახლში და შტაბის მოთხოვნაზე შეპირებია—კვიცს მოგაგებინებო, შემდეგ მაგიერ ცხენს დაპირდა და მართლაც წამოიყვანა ახალციხის ფრონტზე სამაგიერო ცხენი, მაგრამ ისიც იქ გაყიდა 2000 მანეთადო.

ამხ. ლახვარო! ხომ იცით, რომ გამოძიების დროს ჩემთან არც თქვენ და არც ძველი შტაბის წევრებს ასეთი არაფერი გიჩვენებიათ და რატომ აძლევთ თავს ნებას წეროთ ის, რაც არ თქმულა? თუ ჩემი წამოსვლის შემდეგ აღმოჩნდა ახალი მოწმე, ეს შეგეძლოთ გამოგეგზავნათ შტაბში და არა საპოლემიკოთ. გამოძიებაში მხოლოდ ის აჩვენეს, რომ ცხენი ავადმყოფი იყო და გავატანეთ სოფელში მათითაიშვილს მინდორში გასაშვებათ, იქნებ მორჩენილიყოო. ცხენი მოკვდაო, ამბობდენ და ამაში უჯერებდნენ მათითაიშვილის სიტყვიერ განცხადებას. რაზედაც მე მოვითხოვე თემის მოწმობა.

თქვენ მაწერთ ახირებულ დასკვნას, გვარდიელის გალახვას დეფექტათ თვლიო, მაგრამ ეს ხომ „სხივის" სტუმართ მოყვარეობის ბოროტად გამოყენებაა?. მე, ანუ უკეთ ვსთქვათ, კომისია ამ მოვლენას თვლიდა ს. შტაბის დეფექტათ. თვითონ მომქმედი, რასაკვირველია დამნაშავეა და ამიტომაც მიიღო მთავარი შტაბისაგან საყვედური შენიშვნა და გაფრთხილება.

კილურაძის ბრალდებები არ გაბათილებულათ და ასახელებთ მეჩინავე რაზმის მოქმედებიდან გორდელაძის ოჯახის უბედურებას, მაგრამ რატომ გვიწყდებათ ამხ. ლახვარი, რომ გორდელაძეების ამოწყვეტაში ჩარეულია თვითონ კილურაძის სახელიც და საპოლემიკოთ ამის გამორკვევა წინაა?

ყველა ეს წვრილმანებით უნდა ჩაითვალოს ორ თქვენ ბრალდებაზე: შტაბი ქრთამებს ღებულობსო, რაც თქვენვე მოხსენით კრებაზე, და შტაბი სოჯახო ნაწილში სახაზინო ქონებას ფლანგავსო, რის გამო ჩემი გამოძიების შემდეგ გენერალური რევიზიაც მოხდა მთავარი შტაბის საკონტროლო ნაწილის მიერ და რამაც ყველაფერი „წესიერათ აღმოაჩინა.

თვით ჩემი მონაწილეობით გამოძიება სწარმოებდა არა ორი წუთით, როგორც თქვენა წერთ, არამედ ხუთი დღე და ამასთანავე პარტიული კომიტეტის, ერობის და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლების თანდასწრებით და რაც მე აღვნიშნე—იყო არა ჩემი აზრი, არამედ ამ კომისიის დასკვნა.

მე ეხლაც მგონია, რომ ოზურგეთის შტაბის გარშემო განგაში პირადული მეტია საზოგადოებრივზე.

ზ. გურული.

ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსაგან

კანონების გადამსინჯავ კომისიამ დაასრულა განხილვა კანონ-პროექტისა ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ. 5 მუხლის გარდა, რომელიც უკვე გამოქვეყნებული იყო საქართველოს დეპეშათა საგენტოს მიერ, დამატებითად კიდევ მიიღეს 19 მუხლი. სხვათა შორის მერვე მუხლში აღნიშნულია, რომ ერთი წლის განმავლობაში ამა კანონ-პროექტის გამოქვეყნებისა მთელი მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც კი ეკლესიებს და მონასტრების ხელშია, იმ მიწების გამოკლებით, რომელთაც თანახმად აგრარულ კანონისა, კონფისკაცია ეხება, გადადის იმ რელიგიურ საზოგადოების განკარგულებაში, რომელიც კანონიერი გზით შეიქმნა იმ სამრევლოში, სადაც ეს ქონება იმყოფება. ამავე საზოგადოებათა ხელში გადავა შენობები და მასთან ერთად მოსამსახურეები, რომლებიც ამ სარწმუნოებას მღვდელთ მსახურებენ. მეცხრე მუხლის ძალით ის შენობები, რომლებსაც ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვს, მთელი თავისი უძრავი და მოძრავი ქონებით გადაეცემა სახელმწიფოს. ეს ქონება განათლების სამინისტროს ხელში იქნება. სახალხო განათლების სამინისტროს ევალება ამა კანონის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ შეადგინოს ამგვარი შენობათა სია და მთავრობას წარუდგინოს დასამტკიცებლად. მე II მუხლი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქონების გადაცემა სხვადასხვა მიზეზებისა გამო არ მოხდა განსაზღვრულ ვადაში, იმ შემთხვევაში ეს ქონება გადავა ადგილობრივ სამმართველოს ორგანოთა გამგებლობაში, სადაც-კი ეს ორგანოები არ იქნება იქ ქონება დროებით გადავა ადგილობრივ ადმინისტრაციის ხელში. ყველა დავა, რომელიც კი შეიძლება ატყდეს რელიგიურ საზოგადოებათა შორის გადაწყდება საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში. მე-13 მუხლი აღნიშნავს: დაშლილად ჩაითვლება ის რელიგიური საზოგადოება, რომელიც თავის მღვდელ მსახურებას ერთი წლის განმავლობაში უმიზეზოთ არ შეასრულებს. მე 14 მუხ. ძალით შეიძლება დაიხუროს ის რელიგიურ საზოგადოებანი და მათი კავშირები, რომლებიც თავის მიზნებს აღარ ემსახურებიან, ან სახელმწიფოს საზარალო მუშაობას ეწევიან. საზოგადოების დაშლა, ან მისი და მისი კავშირების დახურვა იქნება შემდეგი საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების გადაწყვეტილებისა, საოლქო სასამართლოში საქმის აღძვრა შეუძლია დაინტერესებულ საზოგადოებებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს. მე 17 მუხ. რელიგიურ საზოგადოებას და მათ კავშირებს უფლება ეძლევათ სწავლებისა და ქველმოქმედებისა. მე-20 მუხლის ძალით სახელმწიფოს უფლება აქვს რევიზია გაუკეთოს რელიგიურ საზოგადოებათა ხარჯთ-აღრიცხვასა და გასავალს. ამიტომ ყოველი წლის ბოლოს რელიგიური საზოგადოებანი შინაგან საქმეთა სამინისტროს უდგენენ თავის ფინანსიურ ანგარიშებს. ფული და სხვა ღირებულებანი რელიგიურ საზოგადოებათა, რომელიც მიმდინარე საჭიროებებზე არ იხარჯება, სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში უნდა ინახებოდეს. (სდს.).

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში

29 ოქტომბერს შესდგა პროფ. კავშირთა საბჭოს მორიგი სხდომა. სხდომამ განიხილა საკითხი ბაზარზე კონტროლის შესახებ და იმ ზომების შესახებ, რომელიც მიღებულ უნდა იქნას ნიხრის დამრღვევთა წინააღმდეგ. ამის შესახებ მოსმენილ იქნა დაწვრილებითი მოხსენება იმ კომისიისა, რომელიც არჩეულ იყო საბჭოს მიერ იმის შესახებ, რომ გამოეძია თუ რატომ ვერ ტარდება ცხოვრებაში ის ოქმები, რომელიც შედგენილ იქნა ბაზარზე კონტროლიორების მიერ ნიხრის დამრღვევთა შესახებ. კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. თამაზაშვილი, მოგვყავს მისი მოხსენება დაწვრილებით.

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებას ბაზარზე ნიხრის თვალყურის სადევნებლათ გაგზავნილი ჰყავს 21 კაცი—აგენტი. მათ ეძლევათ განსაზღვრული რიცხვი ოქმებისა; თუ რომელიმე ვაჭარი დაარღვევს სასურსათო განყოფილების მიერ გამოცემულ ნიხრს—აგენტი მას ოქმს შეუდგენს; ოქმი, აგენტის მიერ შესაფერ განაჩენით წაწერილი, წარედგინება ბაზრის საზედამხედველოს გამგეს; ეს უკანასკნელი აწერს ოქმს თავის განაჩენს და ამის შემდეგ ოქმი ეგზავნება სასურსათო განყოფილების გამგეს, რომელიც უკანასკნელ სიტყვას, განაჩენს გამოიტანს და ამის შემდეგ ოქმი სისრულეში მოსაყვანათ ეგზავნება მილიციის უფროსს. განაჩენი ორგვარია: ფულით დაჯარიმება და დაპატიმრება. ამგვარ უფლებებით ქალაქის თვითმართველობა სარგებლობდა დაახლოვებით ერთი წლის განმავლობაში. ეს, ასე ვსთქვათ, საქმის ფორმალურ იურიდიული მხარეა.

გადავიდეთ ახლა საქმის არსებით მხარეზე. სასურსათო განყოფილების აგენტები დანიშნულია ქალაქის მხოლოდ და მხოლოდ დიდრონ ბაზრებზე,—აგენტები თავმოყრილია მხოლოდ ცენტრებში; რაც შეეხება ქალაქის განაპირა უბნებს, ის სრულიად უპატრონოთაა მიტოვებული. რა თქმა უნდა, ეს იციან ჩარჩ ვაჭრებმა და ისინიც თავიანთ უმთავრეს „ოპერაციებს" იქ ახდენენ; მათ თავაშვებულობას საზღვარი არა აქვს. აქ საყურადღებოა მეორე მოვლენაც: ქალაქის აგენტები მსახურობენ მხოლოდ შუადღის 1-ლ საათამდის. რასაკვირველია, ვაჭრებს არც ეს აქვთ დავიწყებული და ჩვენ ვხედავთ, რომ ვაჭრები დილით სრულიად არ აქცევენ ვაჭრობას ყურადღებას; სამაგიეროდ იგი თავის „მოქმედებას" იმ დროს შემდეგ აცხოველებს,—ან კი ვინ დაუშლის—აგენტები წასულია სახლებში!

სასურსათო განყოფილების ცნობით—დღემდის, დაახლოვებით ერთი წლის განმავლობაში, 350 ოქმია შედგენი. ერთი ნაწილი ოქმებისა უკვე მილიციის უფროსთან არის გაგზავნილი სისრულეში მოსაყვანათ, ხოლო მეორე ნაწილი— ისევ სასურსათო განყოფილებაში აწყვია თოკებ გადაჭირებული,—დღემდის ერთ ნაწილსაც და მეორესაც—მხოლოდ უბრალო ქაღალდის ნაგლეჯის მნიშვნელობა თუ აქვს, ვინაიდან არც ერთი მათგანი სისრულეში არ მოჰყავთ.

ეს მდგომარეობა კი ისეთ ატმოსფერას ჰქმნის, რომ ვაჭარ-სპეკულიანტება კიდევ უფრო თამამდებიან და არავითარ ყურადღებას აღარ აქცევენ აგენტებს.

რასაკვირველია არ შეიძლება აგენტის საზედამხედველოს ან განყოფილების გამგის მოსამართლეთ დაყენება.

მაგრამ მდგომარეობის ასე დატოვებაც დანაშაული იქნება. საჭიროა სულ სხვა ფორმის გამონახვა, და ჩვენი აზრით, ეს საკითხი შემდეგნაირათ უნდა მოწესრიგდეს: უნდა შესდგეს საგანგებო სასამართლო, რომელიც სასწრაფოდ განიხილავს საკითხებს, მისი ფუნქცია უნდა გამოიხატებოდეს სპეკულიანტ ჩარჩ-ვაჭრების დასჯაში, ნიხრის დამრღვევთათვის სასჯელის მიცემაში.

აუცილებლად საჭიროა—გადიდებულ იქნეს აგენტების და მუშა-ზედამხედველების შტატი, უნდა დაწესდეს ორი სმენა—დილით და საღამოთი, ამასთანავე აგენტები უნდა დაიგზავნოს ქალაქის განაპირა უბნებშიაც.

და ბოლოს საჭიროა ამ აგენტების სრული უზრუნველყოფა ეკონომიურად, ვინაიდან მშიერის გაგზავნა გამძღართან — პირველის ჩაყლაპვას ეწევის.

ამხანაგებო! ამავე კომისიის სეკრეტარიატმა დაავალა მეორე საკითხის გამორკვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამავე სასურსათო განყოფილებაში.

საქმის ვითარება შემდეგშია: მუხრანის ქუჩაზე ვინმე ტერ-პოღოსოვს აქვს შეშის საწყობი. ტერ-პოღოსოვს ჯერ კიდევ გაზაფხულის პირზე შეუძენია რამდენიმე ათი საჟენი შეშა. ეს სცოდნია ქალაქის სასურსათო განყოფილებას. როგორც მოგეხსენებათ შეშა თფილისში ძლიერ ძვირათ ფასობს; ჯამის შეშას ნიხრი არა აქვს, ხოლო საჟენის შეშას სასურსათო განყოფილების მიერ ნიხრი აქვს დადებული. როდესაც იცოდნენ, მომხმარებლები მოდიან ტერ-პოღოსოვთან შეშის საყიდლად, მაგრამ ტერ-პოღოსოვი ან სულ უარს ეუბნება მომხმარებლებს, ანდა ისეთ ფასს ეუბნება, რომ მუშა-ხალხისთვის ის სრულიად ხელმიუწვდომელია.. ქალაქის აგენტმა ტერ-პოღოსოვის ასეთი თავაშვებულობა დროზე შენიშნა და მას ნიხრის დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა; მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ოქმების მცველობა შეჩერე-

ბულია და ოქმიც მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. ამით გათამამებული ტერ-პოლოსოვი კვლავ განაგრძობს ნიხრის დარღვევას და მით სულსა ხდის მომხმარებელს. ნიხრის დარღვევასთან ერთად, აღმოჩნდა, რომ საჟნად დაწყობილი შეშაც საჟენს არ უთანასწორდებოდა. ქალაქის აგენტი ამის გამო ოქმის შედგენას მოისურვებს, მაგრამ ტერ-პოლოსოვი მას წინააღმდეგობას უწევს და არავითარ ცნობას არ აწვდის თავის შესახებ, აგენტი ეძახის ორ მილიციონერს და ეუბნება მათ, რომ თვალყური ადევნონ ტერ-პოლოსოვს რომ—არ გაპარულიყო. ამ დროს გამხეცებული ტერ პოლოსოვი ეცემა აგენტს და მილიციონერებს და ხელით შეურაცხყოფას აყენებს მათ. ძლივს-ძლივობით ტერ-პოლოსოვს იჭერენ და საკომისარიატოში მიჰყავთ. აგენტი უცხადებს კომისარ ჩიკვინიძეს, რომ ტერ-პოლოსოვი არ გაუშვას, სანამ ოქმი არ შედგება, მაგრამ კომისარი მას მაშინვე ათავისუფლებს ოქმის შეუდგენლად.

„შეურაცხყოფილი“ ტერ-პოლოსოვი შხამსა და გესლს ანთხევდა თურმე ჩვენი რესპუბლიკის მეთაურების მიმართ.

ამის შემდეგ ქალაქის სასურსათო განყოფილებას მისდის ქაღალდი სპარსეთის გენერალურ საკონსულოს მიერ, რომელიც აცხადებს რომ ტერ-პოლოსოვი სპარსეთის ქვეშევრდომია და შეშაც საკონსულოს ეკუთვნისო. ესევე ცნობა საკონსულოს გაუგზავნია შინაგან საქმეთა სამინისტროს დირექტორთან. ამის შემდეგ სასურსათო განყოფილებას მისდის მოწერილობა შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან აგენტების „უკანონო“ მოქმედების შესახებ დაწვრილებით ეცნობებია ყოველივე მისთვის.

ამ ხნის განმავლობაში ტერ-პოლოსოვი თავისუფლად ჰყიდდა თურმე შეშას, რასაკვირველია, ნიხრს ზევით. ხოლო ვინც ნიხრზე მოითხოვდა—მას უარს ეუბნებოდა—შეშა საკონსულოსიაო.

მომხმარებლების მოთმინების ფიალა აივსო და თვითონ ეწვიენ შინაგან საქმეთა მინისტრს ნოე რამიშვილს. მინისტრმა რომ ეს გაიგო—სწრაფად გასცა ბრძანება: ტერ-პოლოსოვის შეშა სასწრაფოთ მიეყიდათ იმათთვის, ვინც რიგში იდგა შეშისთვის.

აი, ამხანაგებო, კომისიამ ეს გამოიძია და იგი ასკვნის რომ: დროა ასეთ თავ-აშვებულობას ბოლო მოეღოს.

მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. მოლაპარაკეთა უმეტესობა წინააღმდეგი იყო იმისი, რომ შექმნათ განსაკუთრებული სასამართლოები ნიხრის დამრღვევთა საქმის გამოსაძიებლათ. გამოთქმულ იქნა აზრი, რომ სპეკულიაციასთან საბრძოლველათ არ კმარა მარტო ნიხრის დაწესება, ვინაიდან ის ვერ ახწევს მიზანს.

მიღებულ იქნა—ბაზარზე მუშათა კანტროლის გაძლიერება, რომ ამით უფრო იქნას დაცული ნიხრის ცხოვრებაში გატარება. დაევალოს კომისიას, რომ მან შეაგროვოს ყოველივე მასალები ბაზარზე ნიხრის დარღვევის შესახებ და წარუდგინოს მთავრობას.

გატარებულ იქნას ცხოვრებაში ის ოქმები, რომელიც შედგენილ იქნა ნიხრის დარღვევის გამო. ამის შემდეგ საბჭომ აირჩია სამანდატო და სარევიზიო კომისიები.

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ცხოვრებიდან

ძნელია არსებულ პირობებში ხელფასით არსებობა. მით უმეტეს ძნელია ის ფოსტა ტელეგ. და ტელეფონის მუშა მოსამსახურეთათვის. ეს იმიტომ, რომ ხსენებულ მოსამსახურეებს ეკონომიურ გაჭირვებასთან ერთად, უხდებათ ბევრ სხვა დაბრკოლებებთან ბრძოლა. ჩვენს უწყებაში უაღრესი დამცველი ვიყავით იმის, რომ ადმინისტრაციას უფლებები ქონოდა და ყოფილიყო ერთუფლიანობა. ეს აუცილებელი იყო უწყების ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლათ.

ჩვენს ადმინისტრაციას ბევრი სჭირდება კიდევ, რომ ის თავის სიმაღლეზე ავიდეს და გაერთსულოვანდეს, პატარა აგენტები უმაღლესი ადმინისტრაციის ხაზის მატარებელი გახდეს. პირადი დაკვირვებიდანაც ვიცით, რომ სამმართველო მოწადინებულია უწყება ხალხს დაუახლოვოს. შიგადაშიგ მოყოლილი ზოგიერთები ჩააყენოს ისეთ პირობებში, რომ ან გარდაქმნან ისინი, უკუაგდებიონ მუნდირისადმი ლტოლვა, ან მოიცილონ თავიდან, როგორც დროის შეუფერებელი ელემენტები.

საუბედუროთ ბევრი ჩვენ უწყებაში, სულ წინააღმდეგს ჩადიან. ეს არც გასაკვირია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია. ზოგი ძველი უფროსები საუკეთესო გამტარებლები იყვნენ ძველი მთავრობის პოლიტიკის: „დაყევი და იბატონე“ და დღეს ასეთებს არ შეუძლიან იწამონ: „ძალა ერთობაშიაო.“ და ასე ძველი ადმინისტრატორები დარჩენ ჩვენს უწყებაში ადმინისტრატორებათ, ძველივე საზომით ხელში და ისედაც კატასტროფიულ მდგომარეობაში მყოფი მუშაკებს სიცოცხლეს უმწარებენ. ასეთია მაგ. ხარიშჩაროვები. ეს იცის მთავარ სამმართველოს ადმინისტრაციამ და თუ მას არ სურს წინააღმდეგობაში ჩავარდეს, დროზე უნდა გაინთავისუფლოს თავი ასეთ აგენტებიდან.

მორზისტ.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 28 ოქტომბერს შესდგა საქარ. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა, დაესწრენ წარმომადგენლები არამიანცის საავადმყოფოს იაჩეიკიდან, ბელაგორკისა და 1-ლი სასურსათო მაღაზიის ქვე-კოლექტივიდან. სხდომა გახსნა ამხ. მ. წივწივაძემ.

კოლექტივმა მოისმინა კომისიების მოხსენებანი.

კვარაცხელიას მიერ გაფლანგულ ფულის შესახებ კოლექტივი ადგენს შემდეგს: არჩეულ კომისიას ევალება წარუდგეს ქალაქის თავთან და გააცნოს მას საქმის მდგომარეობა, და მასალების მოგროვების შემდეგ საქმე გადაეცეს სასამართლოს ზომების მისაღებად.

არამიანცის საავათმყოფოში პარტიული მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. სხულუხია, მოხსენებიდან ირკვევა, რომ ოქტ. 27-ს კოლექტივის ბინაზე შესდგა არამიანცის იაჩეიკის წევრთა კრება, რომელსაც დაესწრო 25 პარტიის წევრი, შემუშავდა პარტიული მუშაობის გასაცხოველებლად გეგმა და მიღებულ იქნა ღონის ძიებანი, რათა პარტიული გადასახადები შედიოდეს კოლექტივში სისტემატიურად. 1-ლი სამხედრო სასურსათო მაღაზიის მუშების ეკონომიური მდგომარეობის შესახებ კოლექტივი ღებულობს დადგენილებას: ვინაიდან ადგილობრივი ეკონომიური ორგანიზაცია სუსტია, ამიტომ არჩეულ იქნას კომისია კოლექტივიდან, რომელიც დაესწრება სამხედრო მაღაზიაში გამართულ მოლაპარაკებას მუშების დღიური ხელფასის და პურის საკითხის მოგვარების შესახებ. ამხ. იოს. ხუციშვილი კოლექტივს აცნობს, რომ წარმოდგენამ, რომელიც გამართული იყო კოლექტივის სასარგებლოდ დასტოვა წმინდა შემოსავალი 7,347 მ.

პარტიული მუშაობის შესახებ კოლექტივი ირჩევს კომისიას, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს პირველ სამხედრო სასურსათო მაღაზიის მუშათა იდეიურ მხარეს, რომ ამ უკანასკნელად პარტიული მუშაობა ამ მუშათა საწარმოვო დარგში შენელდა. ამხ. ანდრო ვაშაკიძის განცხადებით კოლექტივს ეცნო, რომ მიწის კომისიამ დააარსა სამი პუნქტი, სადაც მიწის მიმღებთა მსურველები ყოველგვარ ცნობებს მიიღებენ ბელაგორკაში, მესამე რაიონულ სახალხო გვარდიის შტაბში და 1-ლ სასურსათო მაღაზიის ქვე-კოლექტივში.

შეერთებული სხდომა რაიონულ შტაბისა და კოლექტივის პრეზიდიუმებისა, რომლებსაც უნდა შეემუშავებინათ გეგმა პარტიულ სკოლის დაარსების შესახებ, გადაიდო მომავალი კვირისათვის.

ამხ. ნიკოლაიშვილის განცხადება, რომელიც შეიცავს მას, რომ საპყრობილეთა დაბალი მუშა-მოსამსახურეთ არა აქვთ ადგილობრივად არავითარი ეკონომიური ორგანიზაცია და ამ არა სასურველი მოვლენით ხშირად იჩაგრებიან საპყრობილეთა უფროსების მიერ დაბალი მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური ინტერესები, კოლექტივი საჭიროდ სცნობს ამ საკითხის შესახებ ამხ. ნიკოლაიშვილმა გამართოს მოლაპარაკება პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატთან.

ცერხვი.

მუშათა შორის

ქ. თფილისი. 27 ოქტომბერს განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობის მორიგ სხდომაზე გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) სამხედრო ხე-ტყის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მოსალოდნელი გაფიცვა, 2) სამხედრო სკოლის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა, 3) მატერიალური დახმარება ყოფილ შოფერების კავშირის თავმჯდომარის ივანიჩენკოს ოჯახს, 4) სახალხო გვარდიის სახელოსნოს და გარაჟის მუშა მოსამსახურეთა შემოერთება განახ. ლითონზე მომუშავეთა კავშირში. 5) რადიო გუნდის მოსამსახურეთა განცხადება, რომ მიეცეს მათ ტრამვაის ფული ან დაურიგდეს მათ ბილეთები, რადგანაც მათ უხდებათ სამსახურში სიარული ნავთლუღიდან თფილისში, 6) კავშირის წევრებისათვის ავანსის მიცემა და 7) ხორცის იაფ ფასებში მოწოდება კავშირის წევრებისათვის.

ყველა ამ კითხვებზე გამგეობამ დაადგინა: 1) რადგანაც სამხედრო ხე-ტყის მუშები, განსაკუთრებით მძიმე მუშაობას ეწევიან ფიზიკურათ, არ ეძლევათ ფართუკები, რომელიც მათთვის აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს მუშაობის დროს, და ამავე დროს საინტენდანტო პურის ულუფაც წაართვეს, ეთხოვოს სატარიფო პალატას მიიღოს მხედველობაში ყველა ეს პირობები და მოაწესრიგოს სამხედრო ხე-ტყის ქარხნის მუშების კითხვა.

2) რადგანაც სამხედრო სკოლაში ისეთი სახელოსნოებია, რომელიც თავის დარგით შედის განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირში და რადგანაც 80 მუშა მოსამსახურეთა უმრავლესობა ლითონზე მომუშავე მუშა-მოსამსახურენი არიან, ეთხოვოს სეკრეტარიატს, რომ მიიღოს ზომები სამხედრო სკოლის მუშა მოსამსახურეებზედაც გავრცელდეს კავშირის კოლექტიური ხელშეკრულობა და 14 იანვრის 1918 წლის მთავრობის დეკრეტი, როგორც ეს ვრცელდება ისეთ დაწესებულებაზე, როგორც არის საარტილერიო საწყობი, საინჟინერო საწყობი და სხვ.

3) კავშირი იღებს რა მხედველობაში, რომ ივანეიჩენკო იყო შოფერების კავშირის თავმჯდომარე და მოწინავე ამხანაგიც, მიეცეს მის ოჯახობას 5.000 მანეთი ერთდროულათ, როცა შესაფერ დოკუმენტებს წარმოადგენენ მისი ოჯახობის მატერიალურ მდგომარეობის შესახებ.

4) შეეკითხოს მთავარ სახალხო გვარდიის შტაბს და გვარდიის მუშა მოსამსახურეთა კავშირს, თუ რა აზრის იქმნებიან ისინი ამის შესახებ, რომ სახალხო გვარდიის სამექანიკო სახელოსნოების და გარაჟის მუშა-მოსამსახურენი განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირში შემოვიდნენ.

5) რადგანაც რადიო გუნდის მუშა-მოსამსახურეებს მათგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო უხდებათ სამსახურში სიარული ქალაქიდან ნავთლუღში და უკანვე, რომელიც იწვევს ხარჯებს ტრამვაიზე სიარულით, მიეწეროს ადმინისტრაციას რომ მიეცეს მათ ბილეთები ან ტრამვაიზე დანახარჯი ფულის რაოდენობა.

6) რადგანაც ზამთრის მოახლოებასთან ერთათ, განახ. ლითონზე მომუშავეთა კავშირის წევრები უკიდურეს მატერიალურ მდგომარეობაში არიან, და საშუალებას მოკლებულნი არიან, შეიძინონ ისეთი აუცილებელი მოთხოვნილების საგნებიც კი, როგორიც არის შეშა, ნავთი, ტანისამოსი და სხვა საჭმელი პროდუქტები ზამთრისთვის, ეთხოვოს საქარხნო ადმინისტრაციას და დაწესებულების უფროსებს, რომელიც შემოდიან ლითონზე მომუშავეთა კავშირში მიეცეს მუშა-მოსამსახურეებს სესხათ 10,000 მ.

მე-7 კითხვის შესახებ გამგეობამ აირჩია კომისია სამი კაცისაგან: ჯანაშია, შუშაშვილი და მამალაძე. 1 ოქტომბერს ძმ. ვახნიანკების სამექანიკო ქარხნის დასათვალიერებლათ, თანახმათ ქარხნის კომიტეტის განცხადებისა, გამგეობის დავალებით გაგზავნილი იყო კავშირის თავმჯდომარე ლ. მამალაძე იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ ქარხნის შენობა მოწყობილება შეესაბამება თავის დანიშნულებას. ამხ. მამალაძემ გაეცნო რა ყოველმხრივ სამექანიკო ქარხანას, გამოარკვია შემდეგი: 1) საქარხნო შენობა წარმოადგენს სასწრაფოთ აშენებულ სარაის: მაგალითათ სახარატო და საზეინკლო ცეხები სრულიად შეუფერებელია იმ რთული საქმისათვის, რომლის დანიშნულებას შეადგენს ეს უკანასკნელი ცეხები, რადგანაც შენობა მინგრეულ-მონგრეულია და წვიმების დროს ნიაღვარით ივსება იქაურობა და ამიტომ მუშაობა შეუძლებელი ხდება და ეს კი იწვევს მუშებში ავათმყოფობას. ამიტომ ყოველგვარ მოსალოდნელ ავათმყოფობის თავიდან ასაცილებლათ და გაჭირვების გასანელებლათ მუშებისა. მამალაძემ პირობა ჩამოართვა ქარხნის პატრონს, რომ ის ერთი კვირის განმავლობაში, დააგებს პერს ცეხებში, შეაკეთებს შენობას რამდენათაც შეიძლება, ისე რომ ქარხანაში შეიძლებოდეს მუშაობა ნორმალურათ. მაგრამ ძმ. ვახნიანსკებს ჯერ არც ერთი ეს პირობა არ შეუსრულებიათ. კავშირი მოითხოვს, რომ დადებული პირობა ძმ. ვახნიანსკებთან საჩქაროთ შესრულებული იქმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ეთხოვოს შრომის კომისარს მიიღოს სათანადო ზომები ანტი სანიტარულ და ტეხნიკური მხარეების გასაუმჯობესებლათ ძმ. ვახნიანსკების ქარხანაში.

ზ. ნაცვალაძე.

რეზოლიუცია მიღებული დეპოს და მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებაზე. დეპოს და მთავარ სახელოსნოს მუშა მოსამსახურეთა შეერთებულმა კრებამ ნოემბერს ამა წლისა მოისმინა რა ახსნა განმარტება ამხ. ნ. რამიშვილის და ვ. ჩხიკვიშვილის და იქონია რა მსჯელობა თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ დაადგინა: დაუყონებლივ გატარებულ იქნას ყველა ის ზომები, რომელიც გამომუშავებულია ქ. თფილისის ს. დ. და პროფ. კავშირთა ორგანიზაციების თათბირზე, მაგრამ, რადგან ეკონომიური მდგომარეობა მეტად მძიმეა და ითხოვს დროულ, ნაწილობრივ გაუმჯობესებას ეთხოვოს რესპუბლიკის მთავრობას სათანადო ორგანოების საშუალებით, რომ მან მიიღოს შემდეგი ზომები:

1) გადიდდეს არსებული პურის რაციონი ნახევარი, გირვანქით ოჯახის წევრზე, ე. ი. ნაცვლად 1 გ.—მიეცეს მუშებს $1\frac{1}{2}$ გირ.

2) მოეწყოს მუშათა უბნებში ხორცის სავაჭროები და დაწესდეს კვირაში, ორი დღე, როცა ხორცი უნდა გაიყიდოს ხელმისაწვდომ ფასებში, მხოლოდ მუშათა უბნებში და ამ დღეებისათვის აეკრძალოს კერძო სასადილო-რესტორანებში ხორცეულობის მზადება:

3) მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება იმ კომისიას, რომელიც მუშაობს ბინის მოწესრიგების საქმეზე, რათა პირველ რიგში ბინით დაკმაყოფილებულ იყვნენ მუშები და შემდეგ სხვა მოსამსახურე, მოხელენი:

4) ის ფართლეულობა, რომელიც მოტანილია რკინის გზის კოოპერატიულ მაღაზიებში გაცემულ იქნას მუშა-მოსამსახურეებზე დაკლებულ ფასებში, არსებულ ჯამაგირებთან შეფარდებით, ამ მიზნით შეჩერებულ იქნას მანუფაქტურის დარიგება.

5) მიიღოს მთავრობამ ყოველივე ზომები პურის სოფლებიდან გამოსატანათ. რომლის ასრულების დროს მთელი ჩვენი თანაგრძნობა და დახმარება მისკენ იქნება;

6) ყველა მუშა-მოსამსახურეთ, რომლებსაც საკუთარ საჭიროებისათვის მოაქვთ სურსათ-სანოვაგე ქალაქ-გარეთიდან, მიეცეთ საშუალება ასეთის დაუბრკოლებლივ შემოტანისა.

პროვინცია

ბორჯომი. ადგილობრივ მომრიგებელი მოსამართლეს სურს რევოლიუციის ხანაში გასაჩივრებულ საქმეებში ჩაერიოს და ახლად გაარჩიოს ყველა ის სადაო საქმეები, რომელნიც რევოლიუციის დროს საბჭოებმა და აღმასრულებელ კომიტეტებმა გაარჩიეს. ამით, რასაკვირველია, სარგებლობს მაშინდელი მტყუანი მხარე და ახლად ასაჩივრებს მთელ საქმეს. თუ ამას დროზედ ბოლო არ მოეღო, ამას დიდი აწარქა მოჰყვება, აუარებელი საქმეებია იმ დროს გარჩეული და ყველა ეხლა დაიწყობს გასაჩივრებას. ამის გარდა თუ ეს ასე გაგრძელდა, მოსამართლეები ამ წვრილ კითხვების გარდა დაარღვევენ შემდეგ ყველა იმ დადგენილებებს, რომელიც ხსენებული რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა დაადგინეს, ეს კი პრესტიჟს დასცემს რევოლიუციონურ ორგანიზაციების, ეს იქნება რევოლიუციის გასამართლება და გასაჩივრება. ამისათვის საჭიროა იუსტიციის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს და მოახდინოს შესაფერი განკარგულება მომრიგებელ მოსამართლეების მიმართ, რათა არ მოხდეს მათ მიერ დარღვევა ამ დადგენილებების, რომელნიც რევოლიუციონურ ორგანიზაციების მიერ არის გამოტანილი.

ქ. დინჯაძე

ფოთი. ნათქვამია „ორ ძიძას შუა ბავშვი დაიხრჩოვო“, სწორეთ ეს ითქმის ფოთზე და სუფსა—ფოთის გზატკეცილის შესახებ. ვინც იცნობს ოზურგეთის—სენაკის და ფოთის მდებარეობას, ყველა იტყვის, რომ სუფსა—ფოთის გზა ტკეცილი ოზურგეთის სამაზრო ერობის პატრონობის ქვეშ უნდა იყოსო, ნამდვილათ კი სენაკის სამაზრო ერობას ეკუთვნის.

გასული წლის ხმოსანთა კრებაზე ამ გზის გაკეთება თავის ხარჯ აღრიცხვაში სენაკის ერობამ უკვე შეიტანა, მაგრამ აგერ წელიწადი გადის და გზა არამც თუ გაკეთდა—სრულიად დაინგრა. უნდა აღინიშნოს, რომ გასაკეთებელია მხოლოდ ნაწილი ამ გზისა მალთაყვიდან—გრიგოლეთამდე 4—5 ვერსის სივრცე. ამ მანძილზე არ არის გასაკეთებელი არც ერთი ხიდი და არც ერთი ქვიშა ამოაშრობს—არის მხოლოთ სილიანი გზა, რომელსაც სჭირდება მოკეწვა, ეს გზა დღეს ისე გაფუჭებულია ქარისაგან, რომ ურმები ველარ დადიან და თუ გაივლის დიდი ვაივაგლახით; სხვათა შორის ამას უნდა მიეწეროს ფოთში სანოვაგის გაძვირებაც (ფოთს ახლო-მახლო სოფლები არ ახლავს. მხოლოთ საზრდოობდა გურიით), მაგალითად, სიმინდის ფქვილი სადგ. სუფსაში იყიდება 1000—1200 მ. ფოთში კი 2000 მ. ფასობს.

ფოთიდან ბათუმამდე მგზავრობა ჯოჯოხეთია, რკინის გზით თუ იმგზავრეთ, მიმოსვლა ისე არის მოწყობილი რომ სამტრედიაში ექვსი ან მეტი საათი უნდა იცადოთ, და თუ რომელიმე თავზე ხელ აღებული მეეტლე იშოვე სუფსიდან 7000—8000 მ. (დელიჟანების მიმოსვლა გზის გაფუჭებისა თანავე შეწყდა).

1920 წელს ივნისის პირველ რიცხვებში ფოთში გაიხსნა „ქართული“ სავაჭრო ბანკი სამნახევარ მილიონის თანხით.

მთავრობის ნებართვით ძირითადი თანხა (3,500,000) გადიდებულია თხუთმეტი მილიონამდე, სამისო აქციები გამოშვებულია და სწრაფათ იყიდება. ამ დღეებში დირექტორმა ი. ფონშტეინმა თავის საკუთარი საქმეების გამო დირექტორობაზე უარი განაცხადა, როგორც გავიგეთ ამ ადგილზე ასახელებენ ზოდელავას, რომელიც თავის წარსულით პოლიტიკურათ ძლიერ საეჭვო ადამიანია და თუ პოლიტიკურათ ადამიანი საეჭვოა, რაღა ნდობა ექნება მისი საზოგადოებას.

მგზავრი.

წერილები რედ. მიმართ

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში შემდეგს:

კოოპერატივ „ალორძინებ“-ის წარმომადგენელს ბ-ნ ნიკოლოზ გაბრიელის ძე მახვილაძეს.

ბ-ნო ნიკოლოზ გაბრიელის ძევ! ვინაიდან თქვენ მე ბრალი დამდეთ და ცილი დამწამეთ, ვითომ მე თქვენთვის ფარულად შემომეძლოს პირველ ძირითად სასურსათო საწყობიდან სურსათ-სანოვაგის გატანა—ამის დასასაბუთებლად და დასამტკიცებლად გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში 8 ნოემბრისთვის, ჩემს მხრივ მედიატორებად ვასახელებ: ვლადიმერ გიორგის ძე ჯიბლაძეს და მიხეილ დიმიტრის ძე წივწივაძეს გასამართლება მოხდება პირველ ძირითად სასურსათო საწყობში. თუ ვინიცობაა დანიშნულ დროზე არ გამოცხადდებით თქვენ ჩათვლებით დამნაშავეთ და მიცემული იქნებით პასუხისგებაში.

იოსებ გაჩნაძე.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ მომცეთ საშუალება თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყო რაჟდენ წივწივაძეს, რომ მის მიერ „ერთობის“ № 241 მოთავსებულ წერილს მე არსებითად არც ვუპასუხებ და ვერც ვუპასუხებ, ვინაიდან ამ წერილში წივწივაძე გადმა შედავების პოლიტიკაზე დამდგარა იმ მოსაზრებით ალბათ, რომ გამოლპა შერჩება. ჩვენ მივმართავთ მხოლოდ ხონის ქალაქის ხმოსანთა ჩვენი ფრაქციის თავმჯდომარეს ამხ. ამროსი ბახტაძეს თხოვნით გაზეთის საშუალებით გვიპასუხოს შემდეგ კითხვებზე: ა) მოაწყო თუ არა რაჟდენ წივწივაძემ მოსამსახურეთა გაფიცვა, ბ) აღიარა თუ არა ეს თითონ მან ფრაქციაში, გ) რა ამოძრავებდა წივწივაძეს გაფიცვის მოწყობის დროს—პირადული ინტერესი, თუ საზოგადო, დ) იცნო თუ არა ფრაქციამ წივწივაძე დამნაშავეთ, ე) გადასცა თუ არა მისი საქმე პარტიას მსჯავრის დასადებად, და ვ) მიაყენა თუ არა ქალაქს წივწივაძის მიერ მოწყობილმა გაფიცვამ რაიმე ზარალი?

მივმართავ აგრეთვე ადგილობრივ ს. დ. კოლექტივს გამოაქვეყნოს თავისი აზრი იმ წერილის შესახებ, რომელიც მე მოვათავსე რ. წივწივაძის შესახებ „ერთობის“ № 236. ამის შემდეგ მე მგონია, რომ წივწივაძეს ვერც ეს უშველის, რომ „ოცი წელი ყოფილა“ პარტიაში და ვერც ხონის ამხანაგებისადმი მიმართვა, იმ ამხანაგებას, რომელნიც წივწივაძის წერილის დასაწყისში მეჩხანებად არიან დასახელნი, ხოლო ბოლოში კი ისეთ სანდო პირებად, რომელნიც თურმე შეძლება წივწივაძის „მოღვაწეობას“ კარგის თვალითაც კი უყურებენ.

მიქელ-გაბრიელელი.

რედაქტორი [illegible] ნათაძე.

განცხადებანი

7 ნოემბერს მესანგრე ათასეულის უმწყობრო გუნდში („პეტრე პავლეს სასაფლაოს გვერდზე) იყიდება იმავე ათმაგეულის

27 ცხენი

(3558—1—1)

ყ. უფლ. გიმნაზ. დამაარს. და გამგე
ი. მ. მარაიძე, მათემატიკის

მასწავლებელი

ამზადებს ბავშვებს და მოზრდილთა მოწმობაზე 1, 2, 3, 4, 5, 6 კლ. შესასვლელად—საშუალო და უმაღ. დაწყებითი სასწავლ. აგრეთვე ასწორებს ჩამორჩენილ მოწაფეებს მატემატიკაში ენებში და სხვა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ალექსის ქ. კუთხიდან). 3—1 ს. 3—5 ს. (3483—6—6)

სპეციალისტი მასწავლებლები

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

დოქტორი მედიცინისა

ვ. პ. მოსეშვილი

დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ფლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 და საღამოს 6—8 საათამდე.

11 დეკ.

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების

საავათმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

გოკერიასი

(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს ღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 33. 21 დეკ.)

ექიმი

გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულებელნი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლევების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და სად. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

[illegible]

ნიკოლოზ მახვილაძე

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის $10\frac{1}{2}$—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-[illegible]-ჯიბლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი

გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (16—ნოემ.)

ექიმი

ნ. პ. ფალიაშვილი

სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი, ვაქცინოტერაპია, სეროტერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი

გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფ[illegible] საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ქ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი, „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (7 ნოემ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დილისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი

დავით ლუკას ძე

კილურაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის), ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—11 (ს საღ. 4-ნახ 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე)

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობი[illegible] დილის 8—12 საათამდე, ვენერიულ[illegible] სიფილისით (წამ. „606“ და „914“) ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის [illegible] დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლო. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

ექიმი

პ. ტყეშელაშვილი

ღებულობს ავათმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგის ქ. № 1 (16-ნოემ.)

[illegible] სტამბა, [illegible] ქუჩა №4